# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№1 (25.025) სამშაბათი, 10 - 11 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, შიდამთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს მთავრობის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად „შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის" ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების მიზნით დაფინანსების მოზიდვის შესახებ მთავრობის განკარგულების პროექტი განიხილეს. გადაწყდა, რომ ფინანსთა სამინისტრო მიმართავს მსოფლიო ბანკს, აღნიშნული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების მიზნით, 75 მლნ აშშ დოლარის დაფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით. სხდომაზე აღინიშნა, რომ წინასწარი შეთანხმება ბანკთან უკვე მიღწეულია.

* * *

სოციალურად დაუცველებს სახელმწიფო ელექტროენერგიის საფასურს დაუსუბსიდირებს. „პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი ოჯახების ელექტროენერგიის დანახარჯების სუბსიდირებას, მოქმედებს შემდეგი პრინციპით: 70 ათასი და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფის სუბსიდირება 1 კვტ/საათზე დაახლოებით 12 თეთრამდე მოხდება, ხოლო 70-150 ქულის მქონე ოჯახებისა - დაახლოებით 3.5 თეთრით. ამ მიმართულებით, 2023 წლის ბიუჯეტში 12 მლნ ლარი გამოიყოფა", - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა.

* * *

კასიანოვის განცხადება შეიძლება იყოს საქართველოს ომში ჩათრევის კიდევ ერთი მცდელობა, - ასე ეხმიანება პარლამენტარი გივი მიქანაძე საქართველოში უკრაინის დროებითი რწმუნებულის ანდრეი კასიანოვის განცხადებას. მისი თქმით, ის არ არის ინფორმირებული, რა გადასცა უკრაინამ საქართველოს 2008 წელს, თუმცა დასძენს, რომ რამდენადაც იცის, „ეს იყო შესყიდული და ნიშნავს, რომ არის საქართველოს საკუთრება". ანდრეი კასიანოვი სტატიაში, რომელსაც უკრაინული მედია აქვეყნებს, ამბობს, რომ ოფიციალური კიევი თბილისს 2008 წლის ომის დროს მათ მიერ გადაცემულ „ბუკის" სარაკეტო კომპლექსებს სთხოვს. სტატიაში საუბარია „ჯაველინის" სისტემების გადაცემის მოთხოვნაზეც, რომლებიც საქართველოს აშშ-ისგან აქვს მიღებული.

* * *

პარლამენტარ რატი იონათამიშვილის განცხადებით, „ნაცმოძრაობას" ბუმერანგივით უბრუნდება უკან საკუთარი ქვეყნის სიძულვილი. „ეს განცხადება უფრო კომიკური ჟანრისაა, თუმცა ჩემთვის ყველაზე საინტერესო არის „ნაცმოძრაობის" რეაქცია. თუ ისინი არ ემიჯნებიან, რასაც ჩვენ ვხედავთ რეალურად, ეს ნიშნავს, რომ ისინი იზიარებენ ამ ადამიანის განცხადებას", - განაცხადა იონათამიშვილმა უკრაინაში მებრძოლ, „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტ ნოდარ ყარალაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოზე საუბრისას.

მოამზადა
ია შველიძემ

# თოვლი და პრობლემები – აჭარის მთიანეთში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*შობის ღამეს აჭარის მთიანეთში ამინდი გაუარესდა. 7 იანვრის დილის საათებში ხულოსა და შუახევის ტერიტორიების უმეტეს ნაწილში თოვლი იდო. თხილვანის, ღორჯომის, აგარის, შუბნის, დღვანის, წყალსაყრის, რიყეთის, უჩამბის, ოლადაურის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში საავტომობილო მიმოსვლა შეიზღუდა*



ღამის საათებში გათიშული დენის აღდგენაზე ელექტრიკოსებმა მუშაობა დაიწყეს. 8 იანვარს თოვლის საფარმა რიგ სოფლებში 60-70 სანტიმეტრს გადაამეტა. დენი ისევ შეფერხებით მიეწოდებოდა მარეთის, ჭვანის, ღორჯომის, ბელლეთ-დანისპარაულის, მერისის ხეობების აბონენტებსა და სასიცოცხლო ობიექტებს.

შუახევში, ხულოში ნაწილობრივ ქედის ტერიტორიებზე, თოვლის საფარისგან საავტომობილო გზების გაწმენდით სამუშაოებს აქტიურად ახორციელებდა აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეცტექნიკა. პირველ რიგში გაიწმინდა ადმინისტრაციულ ცენტრებთან და მრავალკომლიან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები. გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს კურორტ გოდერძისა და გომარდულის მიმართულებით.

9 იანვარს დენის მიწოდებაში, ხულოსა და შუახევში ისევ შეფერხებები იყო, რაც დღის ბოლომდე აღმოიფხვრა.

დიდთოვლობისა და უამინდობის გამო, საავტომობილო მოძრაობა რეკომენდებულია მაღალი გამავლობის ავტომობილებით.

სტიქიის ზონაში იყვნენ საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, სამივე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები.

# საქველმოქმედო ფონდ „იალქანის" ანგარიშში და საშობაო საჩუქრები სათნოების სავანის ბენეფიციარებს

*აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბათუმში საქველმოქმედო ფონდ „იალქანის" ბენეფიციარების მონაწილეობით საშობაო ღონისძიება გაიმართა. ფონდმა განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარადგინა*

საშობაო საღამოს აჭარის მთავრობის წევრები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფონდის დამფუძნებელმა თიკო აბაშიძემ







აჭარის მთავრობის წევრებს დღის ცენტრის აქტიური მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ღონისძიებაში მონაწილეობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მეუღლე მაგდა მამულაძემ მიიღო და ფონდის წარმომადგენლებს შობის დღესასწაული მიულოცა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ოჯახი, ასევე, ესტუმრა წმინდა ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანეს და ბენეფიციარებს საშობაო საჩუქრები გადასცა.


## მალე აჭარის ტელევიზია და რადიო სულ სხვა იერსახეს მიიღებს 4

## «ყველაზე დიდი საწუხარი ჩემი დაგლეჯილი სამშობლოა» 5



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.





დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2023 წელს ათობით ტურისტულ გამოფენასა თუ სხვა ღონისძიებაში მონაწილეობას გეგმავს, რისთვისაც საჭირო ფინანსების ხარჯვას ტენდერის გარეშე აპირებს*

ამ მიზნით, 1 მილიონ 50 ათასი ლარის მომსახურების გამარტივებული წესით შესყიდვაზე თანხმობის მისაღებად, დეპარტამენტმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართა.

„აღნიშნული ღონისძიებები და პიარ-აქტივობები ხელს უწყობს რეგიონის წარმოჩენას საერთაშორისო ბაზარზე, მისი ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და ცნობადობის ზრდას, ასევე საქმიანი ურთიერთობების დამყარებას სამიზნე ქვეყნების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, შემდგომი თანამშრომლობის მიზნით. გარდა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებში, ფესტივალებში, ღონისძიებებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობისა, მნიშვნელოვანია ასევე, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით, დეპარტამენტის მონაწილეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში პრეზენტაციებსა და სხვა სამუშაო შეხვედრებში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობისა თუ ღონისძიების გამართვას. ღონისძიების მიზანია რეგიონის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ადგილის პოპულარიზაცია და წარმოჩენა საერთაშორისო ბაზარზე, პოტენციური მომხმარებლებისათვის კონკრეტული ტურისტული პროდუქტების შეთავაზება და დამატებითი ვიზიტიორების მოზიდვა საერთაშორისო ბაზრებიდან. ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმის განვითარება, სტიმულირება და საერთაშორისო ვიზიტიორების რიცხვის ზრდა“, - აღნიშნულია დეპარტამენტის განაცხადში.



2023 წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი მონაწილეობას გეგმავს შემდეგ გამოფენებში:

FITUR - მადრიდი, ესპანეთი - 18-22 იანვარი;
MATKA - ჰელსინკი, ფინეთი - 20-22 იანვარი;
BALTOUR - რიგა, ლატვია - 3-5 თებერვალი;
BIT - მილანი, იტალია - 12-14 თებერვალი;
IMTM - თელ-ავივი, ისრაელი - 14-15 თებერვალი;
ITB - ბერლინი, გერმანია (მასპინძელი ქვეყანა საქართველო) - 7-9 მარტი;
ATM - დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 1-4 მაისი;
TOP RESA - პარიზი, საფრანგეთი - სექტემბერი;
WTM - ლონდონი, დიდი ბრიტანეთი - ნოემბერი;
IBTM - ბარსელონა, ესპანეთი - 28-30 ნოემბერი;
World Travel Show - ვარშავა, პოლონეთი - ნოემბერი;
CTF - თბილისი, საქართველო - მაისი;
EXPO Batumi - ბათუმი, საქართველო - მაისი;
IMEX - ფრანკფურტი, გერმანია - 23-25 მაისი;
სტამბოლი, თურქეთი - 8-11 თებერვალი;
ბაქო, აზერბაიჯანი - 25-27 აპრილი
ალმათი, ყაზახეთი - 19-21 აპრილი;
ტაშკენტი, უზბეკეთი - ნოემბერი;
ბუდაპეშტი, უნგრეთი - 23-26 თებერვალი;
პრაღა, ჩეხეთი - 17-19 მარტი;
ჰერნინგი, დანია - 24-26 მარტი;
ვილნიუსი, ლიეტუვა - 27-29 იანვარი;
ტალინი, ესტონეთი - 9-11 თებერვალი;
ერევანი, სომხეთი - 15-17 სექტემბერი;
ვროცლავი, პოლონეთი - 3-5 მარტი;
კატოვიცე, პოლონეთი - 24-26 მარტი.

„გამოფენების ჩამონათვალი არასრულია, ვინაიდან დეპარტამენტი დამოუკიდებლად მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფესტივალებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომელთა ჩატარების თარიღები, მონაწილეობის პირობები და სტენდის აგების ღირებულება ზუსტდება ორგანიზატორი კომპანიების მიერ და წინასწარ ზუსტი თარიღები და ღირებულებები ცნობილი არ არის“, - აცხადებენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში.

# ოთარ შამუგიამ სამინისტროს უწყებების თანამშრომლებს შობა-ახალი წელი მიულოცა

დარინა ბაბაიძე 27 48 93

***გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროს ლევან ჯღარკავასთან და გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროს თამარ ფიცხელაურთან ერთად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს და გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი ამინდის პროგნოზების და ტელეკომუნიკაციის სამმართველოს თანამშრომლებს, მათ სამუშაო გარემოში ესტუმრა, ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ტკბილეული გადასცა***

„შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს. მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვუსურვებ თითოეულ ოჯახს. 2023 წელი იქნება კიდევ უფრო დიდი მიღწევების და წარმატებების წელი, ჩვენ ამას ყველანი ერთად აუცილებლად შევძლებთ. მინდა მივულოცო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს, მადლობა გადავუხადო მათ გაწეული საქმიანობისთვის და რა თქმა უნდა, ვუსურვო ბევრი წარმატება და წინსვლა 2023 წელს“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების გამოვლენის, აღმოფხვრისა და ასევე პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით უწყვეტ, 24-საათიან პატრულირებას ახორციელებენ. ასევე მყისიერ რეაგირებას ახდენენ სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შესულ შეტყობინებებზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი ამინდის პროგნოზების და ტელეკომუნიკაციის სამმართველოს თანამშრომლები უზრუნველყოფენ მიმდინარე ამინდის პროგნოზის უწყვეტ, 24-საათიან რეჟიმში მომზადება-გავრცელებას, სააგენტოს ვებგვერდზე დამუშავებული მონაცემების განთავსებას და შესაბამისი უწყებებისთვის საპროგნოზო ინფორმაციის დროულ მიწოდებას.



# 2023 წლის დამდეგი – აჭარის მთიანეთში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

**ხულო**

***ხულოში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საახალწლო ღონისძიება გაიმართა***

მთავარ ნაძვის ხესთან მოსულ ადგილობრივებსა და მათ სტუმრებს დახვდათ საშობაო ბაზრობა, ლამაზი საბავშვო სივრცეები, გლინტვეინი, ტკბილეული და ცხელი შოკოლადი.

ბავშვებისთვის მოეწყო წარმოდგენები და ილუზიონისტების შოუ, აქვე იყვნენ საყვარელი ზღაპრის გმირებიც, თოვლის ბაბუაც, რომელმაც, რა თქმა უნდა, საჩუქრები არ დაიშურა მათთვის. დღის ბოლოს საზოგადოებას განწყობა აუმაღლა დუეტმა „ლეონი“ და ჯგუფმა „ბანი“.

კონცერტი გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.



ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად სოციალურად დაუცველი ოჯახები მოინახულა და წინასაახალწლოდ საჩუქრად სასურსათო პროდუქტები მიუტანა.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და წევრი ავთანდილ მახარაძე სოფელ ძმაგულაში დიმიტრი მახარაძის სოციალურად დაუცველ ოჯახსაც ესტუმრნენ, სასურსათო პროდუქტები მიუტანეს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

მახარაძეების სოციალურად დაუცველ ოჯახში 10 წევრი ცხოვრობს. მათ შორის ორი არასრულწლოვანია.



* * *

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში საახალწლო კონცერტი გაიმართა. მონაწილეებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ გელაძე მიესალმნენ.

კონცერტში ხულოს კულტურის ცენტრთან და სახელოვნებო სკოლასთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები, მუსიკალური ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

* * *

საახალწლოდ ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ გელაძესა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძესთან ერთად, ხულოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველებს „მაღალი პროფესიონალიზმისა და სამსახურებრივ საქმიანობაში გამოჩენილი მამაცობისათვის“ მადლობის სიგელები გადასცა და შობა-ახალი წელი მიულოცა.

* * *

წაბლანის საჯარო სკოლის დირექტორმა გულნარა შაინიძემ და პედაგოგებმა ღვაწლმოსილი პედაგოგები ოჯახებში მოინახულეს და ახალი წელი მიულოცეს.

მარო და რევაზ შაინიძეები 55 წლის განმავლობაში ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას, მრავალი მოსწავლე აღზარდეს და დააყენეს ცხოვრების გზაზე. ისინი პირველი ადგილობრივი მასწავლებლები არიან, რომლებმაც წინა საუკუნის 60-იან წლებში შეაღეს სკოლის კარები და ბოლომდე ღირსეულად



ატარეს „სოფლის მასწავლებლის“ მძიმე ტვირთი. ახლა პენსიაზე მყოფნი ტკბებიან შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებით. კვლავ გულშემატკივრობენ სასკოლო ცხოვრებას და გვერდით უდგანან მათ მიერვე გამოზრდილ პედაგოგიურ კოლექტივს.

- ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, ღვაწლისა და ამაგის ღირსეული დაფასება, სითბო და სიყვარული ვუსურვეთ ამაგდარებს, - გვითხრა გულნარა შაინიძემ.

იხ. მე-6 გვ.

# ეს გზა მომავლისაა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*„ბავშვებს უნდათ მშვიდობა“ - ეს ქართულ-უკრაინული პროექტი ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეულია იმათ შორის, ამჟამად რომ ხორციელდება. მისი თანადამფუძნებლების ლილი გრიჩულევიჩის და იულია ფლიშკოს მოწვევით ამას წინათ უკრაინაში იმყოფებოდა „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერი, ამავე დროს საქველმოქმედო ფონდ „ალილო 2015“-ის ხელმძღვანელი, მრავალი კეთილი საქმის მოთავე* ***გენო თებიძე,*** *რომელიც ამ პროექტშიცაა ჩართული.*

**- ახლახან უკრაინაში იმყოფებოდით, რა იყო ამ ვიზიტის მიზანი?**

- უპირველესად, მადლობა ამით დაინტერესებისთვის. უკრაინაში 26 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით ვიმყოფებოდი. ჩვენი პროექტის მიზანი იყო, ახლოს გავცნობოდი იქ მიმდინარე პროცესებს - რა სიტუაციაა ამჟამად სხვადასხვა ქალაქში, რას გრძნობენ ადამიანები... უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელები მსოფლიოში ერთ-ერთი უმამაცესი და კეთილშობილი ხალხია. ბევრ ადამიანს შევხვდი, პირველ რიგში, ჩვენი პროექტის მონაწილეებს, რომლის ფარგლებში საქართველოში ჩამოგვყავდა უკრაინა-რუსეთის ომში დაზარალებული ოჯახების შვილები და, ასევე, საქართველო-რუსეთის ომის დროს დაზარალებული სამხედროების შვილები ჩაგვყავს უკრაინაში. ძირითადი მიზანია მეგობარ ქვეყნებს შორის სახალხო დიპლომატიის განვითარება და ხელშეწყობა, მსოფლიოსთვის იმის თქმა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი შვილების მომავალზე ზრუნვა. უკვე მთელი მსოფლიოსთვის ცხადია, რომ რუსეთი არ ინდობს არც მოხუცებს, არც ბავშვებს, ანადგურებს ინფრასტრუქტურას. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს პროცესი შევანელოთ, ხმამაღლა ვთქვათ და ყველას გავაგონოთ, რომ მშვიდობაზე უკეთესი გარემო ჩვენი შვილებისთვის არ არსებობს. მოკლედ, ამ პროექტის მთავარი ხაზი ის არის, რომ ამ პატარა ბავშვებს დავეხმაროთ შეძლებისდაგვარად, შევუქმნათ მშვიდი გარემო. მათ ფსიქორეაბილიტაციასაც ვცდილობთ და ჩვენი კუთხის კულტურის, ისტორიის გაცნობასაც. ჯერ ჩავფრინდით პოლონეთში, შემდეგ - ლვოვში, იქიდან გავემგზავრეთ ოდესის ოლქის მიმართულებით, ვიყავით კიევში, ირპენში, ბუჩაში, ივანო-ფრანკოში და შემდეგ დავბრუნდით საქართველოში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ქალაქებში ჩასვლა, თითოეულში ვხვდებოდით ჩვენი პროექტის თანამონაწილეებს და ეს იყო ყველაზე გამორჩეული პერიოდი და ვიზიტი. ძალიან დაგვეხმარა ჩვენი პარტიის ლიდერი მამუკა ხაზარაძე, რომელმაც მთლიანად უზრუნველყო ჩემი მივლინება უკრაინაში, მადლობა მას. შევხვდი არა მარტო პატარებს, არამედ ლვოვისა და ოდესის ოლქების გუბერნატორის მოადგილეებს, სხვადასხვა სამხედრო დანაყოფის ხელმძღვანელებს. ვნახე დაბომბილი ქალაქები, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდით, რომ რუსეთს რაც სურდა, იმას ვერ მიაღწია - ვერ გაანადგურა უკრაინული სახელმწიფო, რომელიც შემდგარი იყო, შემდგარია ახლა და შემდგარი იქნება ხვალაც, ყალიბდება ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად, რომელიც საკუთარ თავს დაიცავს მომავალში.

**- ვიცით, რომ უკრაინაში ქართველ მებრძოლებსაც შეხვდით...**

- შეხვედრები მქონდა ქართველ მებრძოლ ვანო ნადირაძესთან, რომელიც უკრაინის სახალხო გმირია. ის დიდ როლს ასრულებს უკრაინის სამხედრო ძალებში. ეს ადამიანი უკრაინაში ქართულ საქმეს აკეთებს. ასევე მქონდა შეხვედრა ბატალიონ „დიდგორის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ თემო აკოფაშვილთან, რუსლან დიასამიძესა და სხვა მებრძოლებთან, მათგან ვიღებდი ინფორმაციას, თუ რა სახის დახმარება შეიძლება საქართველოდან გავუგზავნოთ, ან როგორ დავეხმაროთ მათ ოჯახებს საქართველოში. ისინი ძალიან გახარებულნი არიან, როცა იგებენ, რომ სამშობლოში ასე აფასებენ, ჩვენი მებრძოლები ხომ უკრაინის და საქართველოს ბედნიერი მომავლისთვის იბრძვიან.



**- ქართველი მებრძოლების მიმართ როგორი განწყობაა უკრაინაში?**

- ქართველი მებრძოლები ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ უკრაინაში. მათ ღვაწლს ძალიან აფასებენ, უკრაინელებს მათი ეიმედებათ.

**- ამას წინათ უკრაინელი ბავშვების ბათუმში ჩამოყვანისას ვინ დაგეხმარათ?**

- ბავშვები ჩამოვიყვანეთ ჩვენი პროექტის („ბავშვებს უნდათ მშვიდობა“) თანადამფუძნებელ ლილია გრიჩულევიჩის მხარდაჭერით და ორგანიზებით. უკრაინაში ჩვენი უკრაინელი მეგობარები ზრუნავენ ყველა საჭირო საკითხის მოგვარებაზე, ხოლო საქართველოში - ჩვენ. ბევრი ბათუმელი დაგვიდგა გვერდით, ნაწილმა არ ისურვა, რომ მათი სახელები გაგვემხილა, თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ ყველას ჩვენს ფეისგვერდზე გადავუხდით მადლობას, რათა ისტორიას შემოვუნახოთ მათი ღვაწლი, უკრაინელი პატარებისთვის. ზაფხულში ორი ჯგუფი ჩამოვიდა მამუკა ხაზარაძის მხარდაჭერით, ეს კი მესამე ჯგუფია, რომელიც ჩვენთან ერთად შეხვდება ახალ წელს და სამ იანვარს გავამგზავრებთ უკრაინაში. მხარდაჭერა გვაქვს უბრალო ბათუმელებისგან, რაც ძალიან მახარებს. დღეს სჭირდება უკრაინას მხარდაჭერა და ეს ყველამ უნდა გავაცნობიეროთ.

**- უკრაინის მოსახლეობაში დროდადრო იმედგაცრუება ხომ არ შეიმჩნევა დასავლეთის ზოგიერთი ლიდერის გამონათქვამების გამო უკრაინასთან მიმართებით, კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა განაცხადა, რომ რუსეთს სახე უნდა შეუნარჩუნდეს...**

- ყველა ანტიუკრაინულ გზავნილს, ვინც არ უნდა ახმოვანებდეს, უკრაინის მხრიდან მოჰყვება უმკაცრესი რეაგირება. ათი თვე უკრაინელები სიკვდილს უყურებენ თვალებში! ჩვენ კარგად გვახსოვს 2008 წლის ომი, რამხელა სტრესში ვიყავით ადამიანები და წარმოიდგინეთ, რა მძიმე მდგომარეობაში არიან უკრაინელები. ცხადია, მსგავს ანტიუკრაინულ განცხადებებს ვერ შეეგუებიან. პრაქტიკულად, მთელი მსოფლიო უკრაინის მხარესაა, ნახეთ, რა ეპოქალური დახვედრა მოუწყვეს ზელენსკის და მკაფიო მხარდაჭერაც აღუთქვეს, ამ მხრივ აშშ-ის დახმარება უპრეცედენტოა. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის მკვიდრნი კარგად აკვირდებიან მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, აფასებენ და სათანადო დასკვნებიც გამოაქვთ. აქვე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე მსურს ყურადღება გავამახვილო: უკრაინელები ძალიან მტკივნეულად განიცდიან იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უკრაინის მიმართ ავლენს. მე არ გამიგია, უკრაინის რომელიმე ოფიციალურ პირს რაიმე აუგი ეთქვას ჩვენს ქვეყანაზე, წყენასაც კი არ გამოხატავენ, უბრალოდ, უკვირთ ეს დამოკიდებულება და ვერ ხსნიან, რატომ აქვს საქართველოს ხელისუფლებას ასეთი ლოიალური პოზიცია რუსეთის მიმართ, რომელმაც 14 წლის წინ იგივე გაუკეთა საქართველოს, პრაქტიკულად, მიწასთან გაასწორა ჩვენი ეკონომიკა და მიითვისა ჩვენი ტერიტორიები. როგორც გითხარით, მათთვის ოფიციალური თბილისის პოზიციაა გასაკვირი, თუმცა იმასაც ხვდებიან, თუ რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო.

**- პროექტის „ბავშვებს უნდათ მშვიდობა“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ხართ. რა აქტივობები განახორციელეთ ამ მიმართებით?**

- ძალიან ბევრი... არა მხოლოდ ჩამოგვყავს ბავშვები, არამედ ვცდილობთ, მივცეთ ყველაფერი. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია კარგი გარემოს შექმნა. მათ ვასწავლით ჩვენს ქვეყნებს შორის სიყვარულს, ეს ერთ-ერთი დიდი დიპლომატიური მისიაა, რომელიც ჩვენ გვაკისრია. ეს პატარები რომ გაიზრდებიან, სადაც შეხება ექნებათ საქართველოსთან, დარწმუნებული ვარ, ორმაგად მოინდომებენ მისთვის კარგის გაკეთებას. ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი. სხვათა შორის, ეს ბავშვები საკუთარი ხელით ამზადებენ ქართულ კერძებს, ხატავენ, სწავლობენ ჩვენს დამწერლობას. ვიცით, რომ 30-მილიონიანი ხალხის ბედს ამ 30 ბავშვის ჩამოყვანით ვერ გადავწყვეტთ, ვერ შევცვლით არსებულ მდგომარეობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანადგომით სხვასაც მივცემთ კეთილი საქმეების კეთების მაგალითს. აქვე იმასაც დავძენ, რომ ბათუმში მოქმედებს ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი, ასევე - „მაიდან ევროპის“, „ვალანტიორ ბათუმი“, რომელთა მიზანია საკუთარი წვლილის შეტანა უკრაინის დასახმარებლად.

**- უკრაინის საელჩომ მხოლოდ „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები დააჯილდოვა...**

- დიდი მადლობა უნდა გადავუხადო უკრაინის საელჩოს საქართველოში, განსაკუთრებით - კასიანოვს, რომელიც მართლა ძალიან დიდი ინტერესით აკვირდება ჩვენს საქმიანობას და მიხარია, რომ ამ ადამიანმა დიდი ყურადღება გამოხატა ჩვენი პარტიის მიმართ და დააჯილდოვა როგორც უკრაინის მეგობრები საქართველოში. ასეთ ნომინაციაში მოხვდნენ ჩვენი ლიდერები, რაც ძალიან სასიხარულოა. ამ მხრივ აღსანიშნავია სხვადასხვა პროევროპული პარტიის საქმიანობა, ასევე მინდა გამოვყო ლევან ანთაძე, ვახო კალოიანი და სხვები, რომლებიც ყოველმხრივ გვეხმარებიან. ამ ჯილდოს მიღება, ცხადია, გამიხარდა, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ჯილდო არ არის, არამედ ყველა ჩვენი თანამოაზრისაა.

**- დაბოლოს, სამომავლოდ უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად რას გეგმავთ?**

- პირადად ჩემი და ჩემი მეგობრების მიზანია უკრაინელ ბავშვებს მზრუნველობა არ მოაკლდეს, ვეცდებით, რომ მათ შევუქმნათ სიყვარულით სავსე გარემო, რასაც მოკლებულნი არიან. ამით ფსიქოლოგიურად გაძლიერდებიან და რწმენით აღსავსენი დაბრუნდებიან სამშობლოში. ისინი ხომ ქვეყნის მომავალს განაპირობებენ. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გააგრძელებენ იმ გზას, რასაც მათი მამები ადგანან. ეს გზა თავისუფლების, პროგრესის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის გზაა, გზა, რომელსაც ცივილური, გონიერი, თავისუფალი ადამიანი ირჩევს, დიახ, ეს გზა მომავლის გზაა.

*„ყველა ანტიუკრაინულ გზავნილს, ვინც არ უნდა ახმოვანებდეს, უკრაინის მხრიდან მოჰყვება უმკაცრესი რეაგირება. ათი თვე უკრაინელები სიკვდილს უყურებენ თვალებში! ჩვენ კარგად გვახსოვს 2008 წლის ომი, რამხელა სტრესში ვიყავით ადამიანები და წარმოიდგინეთ, რა მძიმე მდგომარეობაში არიან უკრაინელები. ცხადია, მსგავს ანტიუკრაინულ განცხადებებს ვერ შეეგუებიან*

## უცხოეთი

ომების უმეტესობა მოლაპარაკების მაგიდასთან მთავრდება. დიდი ალბათობით, ეს ომიც ასე დასრულდება, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისივე თქმით, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტამდე ყველაზე სწრაფი გზა უკრაინის მხარდაჭერაა. „რის მიღწევას შეძლებენ უკრაინელები მოლაპარაკებების მაგიდასთან, დამოკიდებულია ბრძოლის ველზე მათ ძალაზე, ასე რომ, თუ გვინდა მოლაპარაკებების გზით კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა, სადაც უკრაინა გააგრძელებს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანა ევროპაში, იქამდე მისასვლელად ყველაზე სწრაფი გზა არის უკრაინის მხარდაჭერა. იარაღი, ფაქტობრივად, არის გზა მშვიდობისკენ“, - აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

* * *

შვედეთის პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ თურქეთი მხარს დაუჭერს ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანებას, თუმცა სტოკჰოლმი არ აპირებს, ანკარის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს. „დროდადრო თურქეთი ასახელებს იმ პირების სახელებს, რომელთა ექსტრადირებასაც ითხოვს, თუმცა ასეთ საკითხებს შვედური კანონმდებლობა არეგულირებს“, - აცხადებს ულფ კრისტერსონი. თურქეთი, რომელიც 70 წელიწადზე მეტია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია, ამ ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებას არ ემხრობა - ქვეყნის მაღალჩინოსნები ფინეთსა და შვედეთს ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერასა და მათთვის თავშესაფრის მიცემაში ადანაშაულებენ.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ბრაზილიაში განვითარებული მოვლენები დაგმო და პრეზიდენტ ლულა და სილვას მხარდაჭერა გამოუცხადა. „ვგმობთ ბრაზილიის პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე, კონგრესსა და უზენაეს სასამართლოზე თავდასხმას. დემოკრატიულ ინსტიტუტებზე თავდასხმისთვის ძალადობის გამოყენება ყოველთვის მიუღებელია“, - განაცხადა ბლინკენმა. ბრაზილიის ყოფილ პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონარუს მომხრეები ნაციონალური კონგრესისა და ფედერალური სასამართლოს შენობებში შეიჭრნენ, მოქმედი პრეზიდენტის რეზიდენცია კი ალყაში მოაქციეს. დემონსტრანტები გაყალბებულს უწოდებდნენ ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებს, რომლის შემდეგაც პრეზიდენტის პორტფელი ლულა და სილვამ გადაიბარა.

* * *

ისრაელში ახალი სამთავრობო კოალიციის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა. მოსახლეობა ბენიამინ ნეთანიაჰუს პოლიტიკას ეწინააღმდეგება. ქუჩაში გამოსულებმა ახალი მთავრობის მიერ დაანონსებული სასამართლო რეფორმა გააპროტესტეს, რომელიც უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვას ითვალისწინებს. ისრაელის ახალმა მთავრობამ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდა დააანონსა, რომლის ფარგლებში საკანონმდებლო ორგანო უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმებას შეძლებს, ასევე, შესაძლებლობას მისცემს მთავრობას, აკონტროლოს ის კომიტეტი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევას ახორციელებს.

მოამზადა
ია შველიძემ

# ლადო ტატიშვილი: მალე აჭარის ტელევიზია და რადიო სულ სხვა იერსახეს მიიღებს

დარინა ბაბაიძე 27 48 93

*წინასაახალწლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალ დირექტორ **ლადო ტატიშვილს** ვეწვიეთ, რომელიც უახლოეს პერიოდში დაგეგმილ სიახლეებსა და ცვლილებებზე გვესაუბრა*



- სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს, იმედი მაქვს, 2023 წელი ბევრად უკეთესი გვექნება, ვიდრე 2022 წელი იყო. რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს, სიახლეებისთვის ვემზადებით. ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოხდება. ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ბევრი - გამოსასწორებელი. პრობლემები, სამწუხაროდ, არსებობს. პირველ რიგში, საჭიროა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება. ახლის აშენება იმ საფუძველზე, რომელიც ძალიან მორყეულია, არ შეიძლება. მას გამაგრება სჭირდება, ზემოდან დაშენებას აზრი არ აქვს, მერე ერთიანად რომ არ ჩამოგვეშალოს. არ მინდა, ამ საზეიმო დღეებში პრობლემებით დავღალო მკითხველი, ამიტომ უბრალოდ, ვიტყვი, რომ მოკლე დროში შევეცადეთ მაყურებლისთვის საინტერესო და რაც მთავარია, ხალისიანი საახალწლო პროგრამა შეგვეთავაზებინა ჩვენს ტელე და რადიოეთერში. გუნდმა, რომელიც აქ დამხვდა, ძალიან სწრაფად იმოქმედა და იმუშავა, რაც მთავარია, ხარისხიანად. შევიძინეთ ძალიან საინტერესო კონცერტი, რომელიც ნახა მაყურებელმა ახალი წლის დღეებში. ბევრი ვერ მოვასწარით, მაგრამ რაც მოვასწარით, დარწმუნებული ვარ, დადებითად შეაფასებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მაყურებელი და მსმენელი.

2023 წელს რაც შეეხება, დაგეგმილი გვაქვს უკვე არსებულ გადაცემებში ცვლილებები. ბევრია ისეთი გადაცემა, რომელიც ძალიან საინტერესოა, უბრალოდ, მრავალი წელია, არაფერი შეცვლილა და აუცილებლად საჭიროებს განახლებას. მიხარია, რომ გადაცემების ავტორებიც მეთანხმებიან ამაში, რაც უკვე კარგია. გამოცდილი ჟურნალისტები, ავტორები, პროდიუსერები და რედაქტორები არიან და შესაბამისად, წინსვლასა და თვითგანვითარებაზე ზრუნვა მათთვის მნიშვნელოვანია, რაც შემდეგ ამა თუ იმ გადაცემის ხარისხს დაეტყობა. სექტემბრამდე ცვლილებებს შეამჩნევს მაყურებელი, თუმცა ამ ერთი თვის განმავლობაში რაც მე მოვედი, პატარ-პატარა ცვლილებები უკვე ეტყობა არხს და რადიოსაც. რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია. სექტემბრიდან ჩაეშვება ბევრი პროექტი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მანამდეც მოხდეს. ჩვენ არ ვართ კერძო ორგანიზაცია, შესაბამისად, ნებისმიერ სიახლეს აქვს თავისი დრო. ერთი ხელის მოსმით ვერ შეცვლი ყველაფერს, გადაცემის შეძენასაც თავისი პროცედურები ახლავს. აქ ტენდერი უნდა გამოცხადდეს. ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ვისთანაც გვინდა, როგორც გვინდა და რანაირადაც გვინდა, ისე და იმაზე შევჯერდეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ყველაფერი გათვლილი გვაქვს და მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, უკვე დავიწყეთ მუშაობა. იანვრის დასაწყისში დასრულდება საბავშვო გადაცემებზე გამოცხადებული კონკურსი - საბავშვო გადაცემა არ ჰქონდა ჩვენს მაუწყებელს. მთელი ჯგუფი ველოდებით, ვინ გაიმარჯვებს. არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება თავიდან გამოცხადდეს კონკურსი. მინდა იყოს კარგი გადაცემა, აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, სხვა შემთხვევაში, მირჩევნია, საერთოდ არ გავიდეს ეთერში. შესაბამისად, ვთვლი, რომ ხარისხი და გემოვნება უნდა იყოს ჩვენი მაუწყებლის დევიზი, ამასთან, ინოვაციურობა და ობიექტურობა ერთდროულად. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა თანამშრომელს სათითაოდ ვხვდები. ჩემი სამუშაო ადგილი არ არის მხოლოდ დირექტორის კაბინეტი, არამედ მთლიანად აჭარის ტელევიზია და რადიოა. ჩართული ვარ თითქმის ყველა პროცესში, გავეცანი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვნახე, რა სიტუაციაა და რა გვჭირდება. რამდენიმე ტენდერია გამოცხადებული განათების დამატებაზე, ახლა გვინდა, სტუდიებსაც მივხედოთ. აქაც ძალიან დიდი პრობლემაა, რასაც ხედავს მაყურებელი. იანვარში გაიმართება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, რომელიც პრიორიტეტებზე იქნება ორიენტირებული, მოვისმენ მათ აზრს, მე ჩემსას გავაჟღერებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვართ საზოგადოებრივი მაუწყებელი - ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე. ჩვენი, ასე ვთქვათ, დირექცია და უფროსობა არის საზოგადოება, შესაბამისად, მათი აზრი ყოველმხრივ უნდა გავითვალისწინოთ. შემდეგ როგორ მივაწვდით ამას, ეს უკვე ჩვენს მარიფათზეა დამოკიდებული. მე მაქვს იმ გუნდის იმედი, რომელიც დამხვდა მაუწყებელში. ვცდილობ, სხვადასხვა რესურსიც მოვიზიდო, მაგალითად, გამოცდილი ჟურნალისტები ტრენინგების ჩასატარებლად და საერთაშორისო ორგანიზაციები დავიხმარო ამაში. ტრენინგები საჯარო იქნება და ყველა ჟურნალისტს შეეძლება დასწრება. ვფიქრობ, რაც უფრო გაძლიერდება რეგიონში მიმართულება, რომელსაც ჟურნალისტიკა ჰქვია, მით უფრო კარგი იქნება ეს ჩვენი მაუწყებლისთვის. დავაკვირდებით, ახალი სახეები შეიძლება გამოჩნდეს. მუდმივად საჭიროა განახლება. ამას რომ ვამბობ, არ ნიშნავს, ვიღაცის ხარჯზე მოხდეს ეს ყველაფერი. არა, თუმცა ახალი სისხლი, ახალი ხედვა რომ საჭიროა, ამაზე ყველა ვთანხმდებით. ამის გარეშე შეუძლებელია. ახალი თაობა, ახალგაზრდები წინ უნდა წამოვწიოთ. მქონდა ბედნიერება, ერთი საჯარო ლექცია წამეკითხა ბათუმში მაგისტრი ჟურნალისტებისთვის. ძალიან საინტერესო ახალგაზრდები მოდიან. იმედი მაქვს, გავაგრძელებ ურთიერთობას მათთან, მივცემ ჩვენთან სტაჟირების შესაძლებლობას, დავაკვირდებით. ძალიან ბევრი ახალგაზრდაა, რომელიც შეიძლება იქცეს ქართული ჟურნალისტიკის მომავალ თაობად. არაერთ უნივერსიტეტში ვასწავლი და ვეუბნები სტუდენტებს, რომ, ხშირ შემთხვევაში, მე უფრო მეტს ვსწავლობ მათგან, ვიდრე ისინი ჩემგან. საზოგადოებრივ მაუწყებელს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და რთული მისია აკისრია - ჩვენ უნდა ვისაუბროთ ყველას ენაზე, რადგან თაობა ზოგჯერ ერთმანეთს ვერ უგებს. ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ როგორც ახალგაზრდა თაობის, ასევე ხანში შესული ადამიანების გემოვნება და მოთხოვნები. საჭიროა გავითვალისწინოთ გამოცდილება, რომელიც ძალიან ბევრ თანამშრომელს აქვს ჩვენს ორგანიზაციაში, რომლებზეც შეიძლება ითქვას, წლებია დგას მაუწყებელი. რა თქმა უნდა, ასეთი თანამშრომლები ძალიან ძვირფასია წინსვლისთვის. ინტეგრირება უნდა მოხდეს ახალგაზრდა და გამოცდილ თაობას შორის. სხვა შემთხვევაში, ვერ განვვითარდებით. ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი საქმე, თუ ასეა და საქმეს ასრულებს პირნათლად, იგი პროფესიონალია. თუ ხარ პროფესიონალი, ვიღაც ახლის მოსვლისას არ გეშინია, რომ ის შენს ადგილს დაიკავებს. ეშინია ვის? არაპროფესიონალს. შესაბამისად, ჩემთვის პროფესიონალი არის ის, ვინც თავის საქმეს აკეთებს, გამოცდილია და ამ გამოცდილებას უზიარებს ახალ თაობას. ხვალ რა და როგორ იქნება, არავინ იცის. ვიღაც მიდის, ვიღაც - მოდის. თუ გიყვარს შენი საქმე, ხარისხიანად უნდა აკეთო, რომ წინ წავიდეს მაუწყებელი. თუ ერთ ადგილს ტკეპნი, არ მოძრაობ, აღარ სუნთქავ. ყველაფერი აისახება ეთერზე, იქნება ეს რადიო თუ ტელევიზია. კიდევ ერთხელ ვამბობ, საზოგადოებრივი მაუწყებელი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საზოგადოებასთან, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ აინტერესებს ის პრობლემები, რაზეც მე ვსაუბრობ. ისინი ამბობენ, რომ პრობლემები ყველგანაა, მაგრამ თანამშრომლები, დირექტორი იმიტომ არის, რომ გადაჭრას ეს პრობლემები და მივიღოთ ნორმალური და ხარისხიანი პროდუქტიც. ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები საზოგადოებას.

**- შეძლებს თქვენი გუნდი, რომ სხვადასხვა თაობისთვის გახადოს აჭარის ტელევიზია სასურველი არხი?**

- რთული კითხვაა, მცდელობას არ დავაკლებთ. მოდი, ასე გიპასუხებთ, მე შემიძლია რაღაცებზე ავიღო პასუხისმგებლობა, თუმცა ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება, თუკი არ იქნება გუნდური პრინციპი, ყველა ერთმანეთს არ დავეხმარებით იმაში, რომ მაუწყებელი განვითარდეს. ძალიან მიხარია, რომ ბევრი პროფესიონალი დამხვდა. უბრალოდ, ნებისმიერ პროფესიონალს სჭირდება ხელშეწყობა იმისთვის, რომ კიდევ უფრო განვითარდეს. იმედი მაქვს, რაღაც ეტაპზე კიდევ უფრო უკეთესი გახდება მაუწყებელი და, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მინდა იყოს ანგარიშგასაწევი ძალა ქართულ მედიაში. ჩვენ უნდა გვქონდეს ამის პრეტენზია.

**- როგორც ვიცი, აჭარის ტელევიზიას აქვს სივრცის პრობლემა. ამ მიმართულებით სიახლე ხომ არ არის?**

- არის პრობლემა, ამაში გეთანხმებით. არსებული სივრცე ტელევიზიას არ აძლევს სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობის გარდა, გვაქვს სხვა ფართი, სადაც სტუდიაა მოწყობილი. ეს არ არის საკმარისი. ამ პრობლემის მოგვარება მარტივი არაა, თუმცა ამ მიმართულებითაც ვმუშაობ. გავდივარ კონსულტაციებს, როგორ და რა გზებით შეიძლება, რომ მაუწყებელს ჰქონდეს ერთი დიდი, თანამედროვე შენობა თავისი აღჭურვილობით, რაც რეგიონისთვის მნიშვნელოვანია. ამ საკითხზე არ შევწყვეტ მუშაობას. ვნახოთ, რა გამოვა. ერთი დიდი თხოვნა მაქვს ყველასთან - გადმორთეთ ტელევიზორები აჭარის ტელევიზიაზე, უსმინეთ აჭარის რადიოს, სულ მალე აბსოლუტურად სხვა იერსახეს მიიღებს იგი.

> *„ არსებული სივრცე ტელევიზიას არ აძლევს სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობის გარდა, გვაქვს სხვა ფართი, სადაც სტუდიაა მოწყობილი. ეს არ არის საკმარისი. ამ პრობლემის მოგვარება მარტივი არაა, თუმცა ამ მიმართულებითაც ვმუშაობ. გავდივარ კონსულტაციებს, როგორ და რა გზებით შეიძლება, რომ მაუწყებელს ჰქონდეს ერთი დიდი, თანამედროვე შენობა თავისი აღჭურვილობით, რაც რეგიონისთვის მნიშვნელოვანია*

## საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა



ბოლო 11 თვის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 10%-ით გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ 2023 წელს ეკონომიკური ზრდა ამ მაჩვენებელს შეინარჩუნებს, - განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა. მისი თქმით, 2023 წლიდან რამდენიმე ცვლილება ამოქმედდება, როგორიცაა საჯარო სამსახურში ხელფასების მატება - საჯარო სამსახურებში ხელფასი 10%-ით უკვე გაიზარდა. გამონაკლისია ჯარი, პოლიცია და უსაფრთხოების სამსახური, სადაც ხელფასები 20%-ით გაიზარდა.

„მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა სოციალური მიმართულების პროგრამა, რაც აქამდე არსებობდა, შენარჩუნებულია.

მინდა გასული წელი ეკონომიკური მიმართულებითაც შევაჯამო. ბოლო 11 თვის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 10%-ით გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ 2023 წელს ეკონომიკური ზრდა ამ მაჩვენებელზე შენარჩუნდება. მინდა რამდენიმე მაკროეკონომიკურ პარამეტრზე შევაჩერო ყურადღება. მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება იყო. წლის დასაწყისში ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი მაჩვენებელი 4,4 იყო, წლის ბოლოს 3,1-მდე შემცირდა, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა.

ინფლაციამაც დაიწყო შემცირება. დეკემბერში 9,8% ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა. მომდევნო თვეებში, ვფიქრობ, ინფლაციის შემცირება კიდევ უფრო დაჩქარდება“, - განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

ამირან გურიელიძე

## 23,5%-ით... გავღარიბდით (?!)



ეკონომისტ ოთარ აბესაძის „ფეისბუქის“ პირად გვერდზე დადებულ პოსტს თუ დავეყრდნობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 23,5%-ით... გავღარიბებულვართ.

აი, თავად პოსტიც:

„გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ინფლაციურ ნიადაგზე გაძვირდა: სურსათი 16,3%-ით; ალკოჰოლი და თამბაქო - 9,3%-ით; კომუნალური სერვისები - 15,8%-ით; ავეჯი, სახლის მოვლა - 8,8%-ით; ტრანსპორტი - 5,5%-ით; განათლება - 6,6%-ით; სასტუმრო, რესტორანი - 14,8%-ით; სხვადასხვა საქ/მომსახურება - 11,6%-ით. საშუალოდ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 11%-ით გაგვიძვირდა ყოველდღიური ცხოვრება.

ასევე, თუ გავითვალისწინებთ ლარის მსყიდველუნარიანობის ინდექსს და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურ შემოსავალს, საშუალო ჰარმონიული შეწონილის მეთოდოლოგიით და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 23,5% - ით გავღარიბდით.

საშუალოდ ზუსტად იგივე საქონელსა და მომსახურებაში, რასაც ვიყენებდით გასული წლის იანვარში, წელს ზუსტად იგივე საქონლისა და მომსახურების შესაძენად 23,5%-ით მეტი შემოსავალი გვჭირდება.

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი არ გაზრდილა (გარდა საჯარო სამსახურისა და იქაც - 10%-ით).

საქართველოში უნდა შემცირდეს გადასახადები, რის ხარჯზეც მეტი ფული დარჩება მოსახლეობაში და შეივსებენ ინფლაციურ დანაკარგს.

საქართველოში გადასახადი არის არა ფიქსირებული, არამედ მზარდი. მაგალითად: როდესაც პური ღირდა 1 ლარი, მაშინ ვიხდიდით დღგ-ს 18%-ს, ანუ 1 პურში - 18 თეთრს და დღეს, როდესაც პური ღირს 2 ლარი, ვიხდით ისევ 18%-ს, ოღონდ უკვე 36 თეთრს - 1 პურში. თუ ქვეყანაში არ ჩატარდა რადიკალური ეკონომიკური, საგადასახადო და მონეტარული რეფორმა, მივალთ ეკონომიკურ კრიზისამდე“, - წერს აბესაძე.

ამირან გურიელიძე

# „ყველაზე დიდი საწუხარი ჩემი დაგლეჯილი სამშობლოა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ცნობილი პოეტი, ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი (2022 წლის მარტამდე - ამ კავშირის თავმჯდომარე) ქალბატონი* ***მარინა თექთუმანიძე*** *არაერთი ლიტერატურული კონკურსის და ფესტივალის მონაწილე, ზოგჯერ კი ჟიურის წევრია. ნათელი სულითა და გონებით, ობიექტურობით გამორჩეული ამ ქალბატონის ყურადღება აჭარაში ჩატარებულმა ლიტერატურულმა ღონისძიებებმა მიიპყრო, რომლებშიც თავადაც მონაწილეობდა.*



**- როგორ დაიწყებდით საკუთარ ავტობიოგრაფიას?**

- ადამიანის ცხოვრება პირველი განცდიდან იწყება, იმ დროიდან, როცა სულს რაღაც შთამბეჭდავი დააჩნდება. ჩემს შემთხვევაში ეს დედულეთს - სამეგრელოს უკავშირდება. ძალიან პატარა ვიყავი, არ ვიცი, რამდენის, ჯერ ვერც ვლაპარაკობდი (წლის და 7 თვისა ლექსებს ვკითხულობდი). დღემდე ისეთი ცხადია და ხელჩასავლები ის განცდა, რომელსაც ახლა ვიხსენებ, ასე მგონია, გუშინდელია. საღამოს პირია. აივანზე ვსხედვართ. დედას კალთაში ვუზივარ, რაღაცას მაჭმევს, მე არ ვჭამ. დედა მიბრაზდება და მეუბნება, რომ ტურა წამიყვანს, თუ არ შევჭამ. ამ დროს ჭიშკართან (წლების მერე მივხვდი, რომ ძაღლი იყო) რაღაცამ ჩაირბინა, მე ტურა მეგონა და საოცრად შემეშინდა. ეს იყო პირველი შიში, ცხოვრების პირველ „განსაცდელთან“ შეხვედრა.

**- ცნობილი პიროვნება ხართ, ჯილდოც მრავალი გაქვთ, მათგან ყველაზე მეტი სიხარული რომელმა მოგანიჭათ?**

- ზოგადად, მეღიმება ყოველგვარ ჯილდოზე, ყოველგვარ პრემიაზე, ვინაიდან ეს ჯილდოები ჩვენი ეგოისტური მისწრაფებების, ჩვენი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ როცა ღირსეულად იღებ ამ ჯილდოს, მაინც სასიხარულოა. ჩემთვის ასეთი გახლდათ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მონიჭებული დიდი ნიკო ნიკოლაძის პრემია. ძალიან გამახარა თამაზ წივწივაძის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებამ.

**- „ყოველდღიურად სიყმაწვილეში დავხეტიალობ“... თქვენი ამ სიტყვების გაგრძელება რომ გთხოვოთ?**

- მენატრება იქაურობა და ის მარინა, უზომოდ კეთილი და გულუბრყვილო, წარმოდგენა რომ არ ჰქონდა ბოროტებაზე და ყველა ადამიანი კეთილშობილი, მართალი ეგონა. სადღაც 23 წლის ასაკში „აღმოვაჩინე“ ცხოვრება თავისი მუქი ფერებით და შევძრწუნდი.

**- პოეზია, ჟურნალისტიკა... ფართოა თქვენი ინტერესების სფერო, მოდით, თავად მოგვითხრეთ, სად შეძელით უკეთ თქვენი შინაგანი „მეს“ რეალიზება...**

- პოეზია და ჟურნალისტიკა ჩემი ორი დიდი სიყვარულია. ვერ ვიტყვი, სად უფრო რეალიზებული ვარ. ეს, ალბათ, ვინც წლების განმავლობაში იყო ჩემ გვერდით და თვალყურს ადევნებდა ჩემს ცხოვრებას, მან უნდა თქვას. ერთი კი შემიძლია, გითხრათ - საბავშვო ჟურნალისტიკაში ყოფნის წლებმა უამრავი ადამიანი შემძინა, უამრავი ბავშვი აღმაზრდევინა, რომლებიც, დღესაც საკუთარი შვილებივით მიყვარს.

**- როცა დღევანდელ მასმედიას ეცნობით, რას ფიქრობთ თანამედროვე ჟურნალისტიკაზე, რა მიგაჩნიათ აუცილებლად მისი განვითარებისათვის?**

- არ მინდა კოლეგების განაწყენება, მაგრამ დღევანდელი ჟურნალისტიკა კრიტიკას ვერ უძლებს. თითზე ჩამოსათვლელია ტელევიზიები და გაზეთები, რომლებიც ობიექტურობის შენარჩუნებას ცდილობენ. მედიასაშუალებების მეპატრონეები ჟურნალისტებისგან ითხოვენ მათი შეხედულებების გატარებას. რაც ერია, ისაა ბერი და... ჟურნალისტიკაც.

**- საწოლთან მარიკა ორჯონიკიძის ნახატი მიკიდიაო, ბრძანეთ ანუ მხატვრობა გიყვართ და თქვენს თვალსაწიერს აფართოებს. რას იტყვით მხატვრობასა და ხელოვნების სხვა დარგებზე?**

- მხატვრობა, გარკვეულწილად, ბავშვობიდან შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. მახსოვს დიდი მხატვრების ნახატების ბიძაჩემის მიერ შესრულებული ასლები. ხატავდა მამაც, ჩემი დაც... საერთოდ, ძალიან მიყვარს სკულპტურა, ისტორიული ჟანრის - განსაკუთრებით. ვამაყობ, რომ ქართველებსაც გვყავდა ისეთი სკულპტორი, როგორიც იაკობ ნიკოლაძეა. საქართველოში გათხრების შედეგად მოპოვებული ნიმუშები ცხადყოფს ქართული ქანდაკების უძველესობას.

**- მრავალ ლიტერატურულ ღონისძიებაში მონაწილეობთ, კონკურსებში, ფესტივალებში, ზოგან ჟიურის წევრიც ხართ... მათგან მნიშვნელობით რომელს გამოარჩევთ?**

- ჯერ ფესტივალზე გეტყვით. ის მაღალმთიან აჭარას უკავშირდება და „ზე-კართან“ ჰქვია. ეს არის მეგობრობის, სიყვარულის ფესტივალი, საქართველოს უძველესი და უამრავგანსაცდელგადატანილი კუთხის გაცნობა და შეცნობა. ვიტირე სხალთის მონასტრის მონახულებისას. აქ ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს საუკუნეები წაიშალა და მარადიული საქართველოს მკვიდრი ხარ. რაც შეეხება კონკურსებს, ჩემთვის მისაღებია ყველა, სადაც ორგანიზატორების მხრიდან არ არის ზეწოლა ჟიურიზე. გამოვარჩევდი იმ კონკურსებს, სადაც ჟიურის წევრი ვიყავი. ესენია: „ქუჯი“, „ლექსების გამოფენა“, „დათა გულუას სახელობის ახალგაზრდული კონკურსი“... არავინ არასოდეს ჩარეულა და ეჭვქვეშ არ დაუყენებია ჩვენი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ჟიურის წევრებმა ისიც კი არ ვიცით, რომელი ლექსი რომელ ავტორს ეკუთვნის. მესმის, ბევრი ადამიანი რჩება გულდაწყვეტილი, მაგრამ კონკურსი კონკურსია. უნდა შეგვეძლოს სხვისი, ამ შემთხვევაში კონკრეტული ლექსის უპირატესობის აღიარება. ეს პოეზიის კი არა, ლექსის კონკურსია.

**- თქვენი ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდია ტრაგიკული სამოქალაქო ომი... და როცა ეს მოგონებები ამოტივტივდება...**

- სულ ვამბობ: მე ერთადერთი პრეზიდენტი ავირჩიე და ეს ზვიად გამსახურდიაა. პირადად ვიცნობდი და შემიძლია ვთქვა, რომ ის კეთილშობილი ადამიანი იყო. დეკემბრის იმ ავბედით ღამეს მთავრობის სახლთან ტყვიების ზუზუნში ვიდექი. მახსოვს, ვინც იქ იყო, ყველა ასფალტზე გაწვა, მე კი ვიდექი შუა მოედანზე და ვნატრობდი, ტყვია მომხვედროდა, რომ იმ უზარმაზარი სირცხვილისგან და სასოწარკვეთისგან, რომელიც მანადგურებდა, მსპობდა, თავი დამეღწია. იმ ღამემ ლოგინად ჩამაგდო და დიდხანს ვერც გამოვჯანმრთელდი.

**- „გენაცვალე“ - ამ სიტყვას, როგორც ამბობენ, ყველაზე ხშირად წარმოთქვამთ და უკვირთ, როგორ შეიძლება ყველას „გენაცვალე“ უთხრაო... რას ეტყოდით ახლა ამ „გაკვირვებულებს“?**

- ერთი ჩემი შვილობილი ამბობს, მარინას სავიზიტო სიტყვა „შემოგევლე“ და „გენაცვალე“ არისო. დიახ, ამ სიტყვებს ხშირად ვიყენებ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ადამიანი. ეს სიტყვები ისედაც ძლიერი ენერგეტიკის მატარებელია და როცა მათ წარმოვთქვამ, ვგრძნობ, როგორ ვთბები მეც და სიტყვის ადრესატიც. თუ გიყვარს გვერდით მდგომი, ეტყვი, თუ არ გიყვარს, ვერ ეტყვი. მიყვარს და ვამბობ.

**- მეგობარი სულით ნათესავია, საყრდენი, იმედი... ვინ არიან თქვენი მეგობრები?**

- ჩემი მეგობრები ჩემი „სულის ცალები“ არიან. მათ გარეშე სიცოცხლეც არ მინდა. ვმადლობ უფალს მათთვის. ჩემი მეგობრები სულიერებით სავსე ადამიანები არიან, მტერსაც შეუნდობენ და წყენაც დიდხანს არ მიჰყვებათ ხოლმე. ჩემს მეგობრებს სამყარო უყვართ და ადამიანი. ისინი ჩემზე გაცილებით უკეთესები არიან და მიხარია მათი არსებობა. დღეს, ამ გავეშებულ დროში, ერთმანეთს რომ არ ინდობენ, მეგობარი ჩემი ნავსაყუდელი და ოაზისია.

**- პირადი სივრცე ჩვენში, ერთგვარად, მით უმეტეს - ოჯახებში, ირღვევა. ეს ძალადობის საბაბიც ხომ არ ხდება?**

- გააჩნია, პირადი სივრცის დარღვევაში რას გულისხმობთ. ძალადობას მოძალადე ოჯახში გაზრდილი ადამიანები მიმართავენ. სცემდა მას მამა? მანაც უნდა სცემოს. ძალადობდა მამა დედაზე? მანაც უნდა იძალადოს. ეს ერთგვარი ჯაჭვია და თუ არ გვინდა ადამიანები იღუპებოდნენ, ეს ჯაჭვი უნდა გაწყვიტოს ოჯახის ყველა წევრმა. თბილ, მოსიყვარულე გარემოში გაზრდილი ბავშვისგან მოძალადე არ დადგება.

**- „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“... - ეს გაფრთხილება დავივიწყეთ? როგორ მეტყველებს დღევანდელი ქართველი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ვინ უნდა იზრუნოს ენის სიწმინდეზე?**

- კატასტროფული მდგომარეობაა ამ მხრივ. არსებობდა „ქართული ენის სახელმწიფო პალატა“, რომელიც ყველა ენობრივ დარღვევაზე რეაგირებდა. ახლაც არისო, ამბობენ, მაგრამ ვერ მივაგენი, სად არის და რას აკეთებს. სკოლამ, პედაგოგებმა, მშობლებმა მეტი უნდა იმუშაონ ამ მიმართულებით. ჩვენც უნდა მივუთითოთ ერთმანეთს, რომ „განვმეორდები“ შეცდომაა და მახინჯი სიტყვა, ასევე არასწორია სიტყვები „კარგით“, „გამარჯობათ“ და ასე შემდეგ. ბარბარიზმებმა წალეკა ენა.

**- პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად გაღელვებთ და როგორ გესახებათ მისი გადაჭრის გზები?**

- ყველაზე დიდი საწუხარი ჩემი დაგლეჯილი სამშობლოა. რომელი პოლიტიკოსი მე ვარ, რომ გადაჭრის გზა ვინმეს მივუთითო, თუმცა, მგონია, სახალხო დიპლომატია და საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დაყენება იქნება დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საშუალება და გარანტი.

**- როცა მომავალზე ფიქრობთ... ციფრული გადაწყობა რას მოითხოვს ადამიანისაგან? მასმედიის როლი ამ პროცესში...**

- ციფრული ტექნოლოგიების, მისი მარკეტინგის განვითარება დრომ მოიტანა და მას უამრავი სიკეთე მოაქვს, თუმცა, ალბათ, ზომიერების დაცვა აქაც საჭიროა, რომ მთლიანად ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებული, სულიერებისგან დაცლილი თაობები არ მივიღოთ, რომ წიგნი არ ჩაანაცვლოს კომპიუტერმა, რომ დღეს, როცა ყველა ინფორმაცია ასე ხელმისაწვდომია, მარტო ამით არ დაკმაყოფილდეს ახალგაზრდა. მასმედიას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ამ კუთხით.

**- კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად ხმიანობს თქვენს გონებაში და პასუხი?**

- როდის უნდა დამთავრდეს დაუსრულებელი მოთქმა საქართველოზე და ცრემლი სიმღერაზე - „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“? და როდის გამოჩნდება ბაზალეთის ოქროს აკვნის ყრმა? ვფიქრობ, ჭეშმარიტად გულმხურვალე, ნიჭიერი, განათლებული ადამიანების ერთობას ქვეყნის ბედის სასიკეთოდ შეცვლა შეუძლია. მთავარია, გამოჩნდნენ.




**- ვსწავლობთ წარსულს მომავლისათვის - ეს პოსტულატი დროულია?**

- „წინ, წარსულისკენ“ რომ ვიაროთ, ბევრ საინტერესო რამეს, კარგად დავიწყებულს და დღეისთვის გამოსადეგს ვნახავთ, მაგრამ ამისთვის ელემენტარული სურვილი მაინც უნდა არსებობდეს. წარსულის გარეშე კი (წარმატებების, შეცდომების გააზრება) მომავალი არ გვექნება.

**- ტრადიციები და ჩვენ... რომელი შევინარჩუნოთ და რომელი უკუვაგდოთ?**

- ყველა ტრადიცია, ბუნებრივია, არ არის მისაღები. ზოგიერთს თავად ცხოვრება იცილებს თავიდან. რაც საჭიროა, დარჩება, რაც არა - წავა. ხალხმრავალი ქორწილები, ქელეხები უნდა მოიშალოს და მგონი, იშლება კიდეც. წარმართული საქართველოდან შემოგვრჩა ძაფით მიცვალებულის სულის მიყვანა სახლში. ეს ტრადიცია თითქმის ყველა კუთხემ დაივიწყა, მხოლოდ სამეგრელოსა და სვანეთშია, თუ არ ვცდები, შემორჩენილი. ძალიან ლამაზია და მისტიკური, მაგრამ ტრადიციად აღარ ითვლება. აი, დასატოვებელი და უფრო მაღალ ხარისხში ასაყვანია მშობლებისა და მოხუცების პატივისცემა.

**- აჭარას, ბათუმს ხშირად სტუმრობთ... საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილებები, გთხოვთ, ჩვენს მკითხველებს გაუზიარეთ.**

- ბათუმი ჩემი დიდი სიყვარულია. ჩემი დიდი ბაბუაც თბილისელი იყო და ბუნებრივია, თბილისი უსაზღვროდ მიყვარს, ბათუმი კი ის ქალაქია, სადაც სიხარულით ვიცხოვრებდი, სადაც ურთიერთობაც იციან, სიყვარულიც და მეგობრობაც.

**- 2023 წელი დადგა. თქვით სადღეგრძელო...**

- საქართველოს კეთილდღეობის წელი ყოფილიყოს 2023! დაე, ისეთი აღმშენებლობა დაწყებულიყოს, ჩვენი ემიგრანტებით ავსებულიყოს სამშობლოში დასაბრუნებელი თვითმფრინავები!

> *არ მინდა კოლეგების განაწყენება, მაგრამ დღევანდელი ჟურნალისტიკა კრიტიკას ვერ უძლებს. თითზე ჩამოსათვლელია ტელევიზიები და გაზეთები, რომლებიც ობიექტურობის შენარჩუნებას ცდილობენ. მედიასაშუალებების მეპატრონეები ჟურნალისტებისგან ითხოვენ მათი შეხედულებების გატარებას. რაც ერია, ისაა ბერი და... ჟურნალისტიკაც*

აჭარა 101



# 35 ახალი წელი - «აჭარასთან» ერთად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***18-წლიანი შრომითი სტაჟის მქონე, შუახევის რაიონული გაზეთ «დროშის» რედაქტორის მოადგილე, 35 წლის წინ გაზეთ «საბჭოთა აჭარის» საკუთარ კორესპონდენტად გადმომიყვანეს შუახევისა და ხულოს რაიონებში. გარკვეული რეორგანიზაციის შემდეგ, აჭარის მთიანეთის სამივე რაიონიდან საგაზეთო მასალების მიწოდება დამაკისრეს. მაშინ გაზეთი კვირაში ხუთჯერ გამოდიოდა***

მეხსიერებას ლამაზ მოგონებად შემორჩა ის კეთილი, კოლეგიალური, დამრიგებლური დამოკიდებულება, რასაც გაზეთის მაშინდელი რედაქტორი ვახტანგ წულუკიძე, რედაქტორის მოადგილეები ავთანდილ დიასამიძე, ნევრო პატარაია, პასუხისმგებელი მდივანი ნოდარ დოლიძე, განყოფილებათა გამგეები სერგო კაკაურიძე, გივი თურმანიძე, იური თავდუმაძე, თენგიზ ხომერიკი, ნუგზარ ჯაფარიძე ჩემს, დიდი კოლექტივის ახლად შემოერთებული წევრის მიმართ იჩენდნენ. დიდი სტიმული იყო, როცა პირველსავე თვეს მოწინავე წერილების დაფაზე ჩემი სტატია გაჩნდა. იგი შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობას ეხებოდა და საკმაოდ კრიტიკული იყო.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენას 1989 წლის ტკივილიანი 19 აპრილი მოჰყვა. სხალთის ხეობაში განვითარებულ მეწყრულ პროცესებს აჭარის მთიანეთის სხვა ტერიტორიების დამეწყვრაც დაერთო. ქვეყნის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქედის, შუახევის, ხულოს ხელმძღვანელობა მოულოდნელი განსაცდელის წინაშე დადგა. დაიწყო სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გაყვანის, ჭარბი შრომითი რესურსის საქართველოს სხვა ტერიტორიებზე გადაყვანის და გადანაწილების შეუქცევადი პროცესი. პირველ სამიზნედ სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და გარე კახეთი იქცა. ერთდროულად 503 საცხოვრებელი სახლის საძირკველი მოიზომა ახალქალაქის რაიონის 6 და ცეკავშირის მაშინდელი თავმჯდომარის რესან კონცელიძის ინიციატივით ახლად დაარსებული ქართული სოფლის - აზმანას ტერიტორიებზე. ამ პროცესებმა ჟურნალისტსაც საქმე და საზრუნავი მომიმატა. არ დამავიწყდება 1989 წლის ივნისში სოფელ ჩუნჩხაში ჩატარებული «აჭარული ქორწილი». ჩუნჩხა, პტენა, აზმანა, კოთელია, აფნია, გოგაშენი და ოკამი იყო ის სოფლები, სადაც ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში აჭარიდან ჟურნალისტები ჩავდიოდით და რეპორტაჟებს ვამზადებდით. უყურადღებოდ არც ქვემო ქართლის, გარე კახეთის ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები გვრჩებოდა. ახალ საცხოვრისზე აჭარიდან გადასულების დამკვიდრების პროცესის წარმოსაჩენად, ერთკვირიანი მივლინებით ვიყავით სერგო კაკაურიძე, გივი თურმანიძე, ვალერი მითაიშვილი და მე თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულის, წითელწყაროს (ახლანდელი დედოფლისწყაროს), გარდაბნის რაიონების იმ სოფლებში, სადაც ქართული სულის აღზევება იწყებოდა. გზად მერაბ კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი გავიგეთ... მეგზურობას აწ განსვენებული, შუახევის მანქანა-ტრაქტორების რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს დირექტორი თამაზ ზოიძე საკუთარი მანქანით გვიწევდა.



საქართველოში განვითარებული დემოკრატიული პროცესები, დამოუკიდებლობის გამოცხადება, თვითმმართველობის ორგანოებში ახალი სახეებისა და სახელების გამოჩენა კომუნისტურ ეპოქაში მომუშავე ჟურნალისტებისგან ახალ რელსებზე გადასვლას, პროცესების დინამიკურ წარმოჩენას ითხოვდა. დაბნეულობაც გარდაუვალი იყო. ახლაც მახსოვს. შუახევში პრეფექტის წარდგენის დღე და ისიც, კულტურის ცენტრის დარბაზში შეკრებილთა წინაშე ქალაქ ბათუმის პირველმა პრეფექტმა ტარიელ ფუტკარაძემ რომ მითხრა: პროფესიონალი ხარ და პროცესებს მის შესაბამისად მიხედეო...

რედაქტორის თანამდებობაზე ვახტანგ წულუკიძე ალექსანდრე სამსონიამ ჩაანაცვლა. წინამორბედის მსგავსად, ისიც აჭარის მთიანეთს გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა. ეს კი ჟურნალისტებისგან ოპერატიულობას, მოვლენებისა და ფაქტების მკითხველამდე დროულ მიტანას ითხოვდა. სწორედ იმ დროს «აჭარის» რედაქციაში პირველად გამოჩნდა კომპიუტერები, რაც მაშინდელმა კოლექტივმა «ტექნიკური რევოლუციის» დასაწყისად შეაფასა.

ალექსანდრე სამსონიას ინიციატივით, რიგ ქველმოქმედთა თანადგომით, არ დამრჩენია არცერთი დასახლებული ადგილი, სადაც აჭარიდან გადასულებმა ცხოვრება მოიწყვეს, რომ არ მენახა და იქ მიმდინარე პროცესები მკითხველამდე არ მიმეტანა. 2000 წლის აგვისტოში წალკის რაიონის სოფელ ქვემო ხარაბაში მომხდარი ინციდენტი და შემდგომ განვითარებული მოვლენები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ გვქონდა და მკითხველამდე მიგვქონდა. გაზეთის იმხანად უკვე ნიაზ ზოსიძე ედგა სათავეში.

აჭარისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ გაზეთს გაუქმებაც კი დაუპირეს «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» მიმდევრებმა, «ვარდების რევოლუციის» მესვეურებმა. «ხმა ღვთისა და ხმა ერისაო» - ასეთი მოწოდებით დაუდგნენ «აჭარას» გვერდით მწერალი ემენ დავითაძე, სხვა ღირსეული მამულიშვილები და «აჭარამ» დავით ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით და გადახალისებული კოლექტივით გააგრძელა მუშაობა.

აჭარაში მუშაობის 35-წლიან პერიოდს გონებაში რომ გადავხარშავ, გენო თებიძის გულთბილ დამოკიდებულებას უკვე ასაკში შესული ჟურნალისტისადმი, სათანადო შეფასებას ვაძლევ. მისთვის პოლიტიკური შეხედულება კი არა, საქმე იყო მთავარი.

დროს თავისი გააქვს. გადაფურცლავ საოჯახო ბიბლიოთეკის თაროებზე შემოწყობილ გაზეთ «აჭარის» გვერდებს და... იმ ადამიანების ნეკროლოგებსაც ვკითხულობ, რომლებმაც საუკუნოვანი გაზეთი დღემდე მოიტანეს. მათი ხელმოწერით დაბეჭდილ პუბლიკაციებს ახლების გვარ-სახელები ენაცვლება. თაობათა ცვლის პროცესებს რედაქტორ მარინა მითაიშვილთან, ეთერ ხომერიკთან, მანანა ძიძიშვილთან, ირმა შერვაშიძესთან ერთად ჯერჯერობით მეც მივყვები და 35-ე ახალ წელს მათთან, დირექტორ მამუკა ბერიძესთან, სხვა თანამშრომლებთან ერთად ვხვდები. საკითხავია, როდემდე გავუძლებ? ეს უფალსა და მათზეა დამოკიდებული.

გილოცავთ ახალ წელს!

# 2023 წლის დამდეგი – აჭარის მთიანეთში

მე-2 გვერდიდან

* * *

გასული წლის მიწურულს საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები იმ ორგანიზაციებში იმყოფებოდნენ, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ.

- განსაკუთრებით დასაფასებელია მათი შრომა, რადგან ეს ადამიანები თანარაიონელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცეთ კლინიკა „ევექსის“, ხულოს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმებს, მედპერსონალს და სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს, - გვითხრა ანზორ ბოლქვაძემ.

* * *

2022 წლის მიწურულს სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე ზამთრის სეზონი გაიხსნა. სასტუმროები, სხვა ინფრასტრუქტურა მზადაა ტურისტებისა და სპორტის ზამთრის სახეობებით დაკავებული სპორტსმენებისა და მოყვარულების მისაღებად.




გამართულია ბაგირგზები, მწყობრშია გონდოლები და ბაბლები. ისინი სამუშაო დღეებში - დილის 10-დან დღის 16 საათამდე, ხოლო უქმე დღეებში დილის 10-დან საღამოს 17 საათამდე იმუშავებენ.

**შუახევი**

წინასაახალწლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სასურსათო კალათებით სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახები დაასაჩუქრა. სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტით, ტკბილეულით დატვირთული კალათები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში 70-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მიულოცეს.

ღონისძიების ფარგლებში, მუნიციპალი-



* * *

საახალწლო საჩუქრები შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მერის მოადგილე გურამ ზოიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძემ იმ ორგანიზაციების თანამშრომლებს გადასცეს, რომლებიც ახალ წელს სამუშაო რეჟიმში ხვდებოდნენ. ამასთან, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს მათ.

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და საპატიო სტუმრები 2023 წელს მთავარ ნაძვის ხესთან შეხვდნენ. დამსწრე საზოგადოებრიობას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ახალი წელი მიულოცა „საპატიო შუახეველმა“, ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ქირურგმა, ასოცირებულმა პროფესორმა რუსლან ბოლქვაძემ.

**ქედა**

ქედაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით საახალწლო ღონისძიება გაიმართა. მთავარ ნაძვის ხესთან შეკრებილ საზოგადოებას შობა-ახალი წელი ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ და

ტეტში მოეწყო საშობაო ბაზრობები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქტების და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები. საკუთარი ნაკეთობები წარმოდგენილი ჰქონდათ ქედის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ ხელმარჯვეებსაც.

მთავარი ნაძვის ხის მიმდებარედ განთავსებული იყო ხის საახალწლო სახლები, სტენდები ფოტოს გადასაღებად და ინსტალაციები.

სადღესასწაულო აქტივობები ყველა თაობის ადამიანებზე იყო გათვლილი. ბავშვების განწყობაზე ანიმატორები და ზღაპრის გმირები ზრუნავდნენ, გაიმართა „ბასტი ბუბუს“ კონცერტი, საზეიმო მსვლელობები და მოსიარულე ორკესტრის შოუ, ბავშვები შეხვდნენ თოვლის ბაბუას და მიიღეს საახალწლო საჩუქრები.

ღონისძიების ბოლოს მოწვეული შემსრულებლების - ანსამბლ „ფორტეს“, ირინა ბაირამაშვილის და დათო ლონდარიძის კონცერტი გაიმართა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე იმ უწყებებში იმყოფებოდა, რომელთა თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის გამო ახალ წელს საკუთარ ოჯახებში ვერ შეხვდნენ. ესინი არიან: ქედის მუნიციპალიტეტის პოლიციის სამმართველოს, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, კლინიკა „ევექსის“, ასევე კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თანამშრომლები. მერმა ისინი სამუშაო ადგილებზე მოინახულა, ახალი წელი მიულოცა და საჩუქრები გადასცა.



## უკრაინა

წლის პირველ კვირაში ფრონტზე ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მძიმე ბრძოლები გრძელდება ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონებში, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მან გათავისუფლებულ ტყვეებზეც ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ ეს მიმდინარე წელს ტყვეების გაცვლის პირველი შემთხვევა იყო. „რუსული ტყვეობიდან ჩვენი მეომრების წლის პირველი გათავისუფლება დღეს მოხდა. სახლში 50 უკრაინელი დაბრუნდა: 33 ოფიცერი, 17 - რიგითი და სერჟანტი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, მხოლოდ უკრაინის გაძლიერება, უკრაინის წარმატებები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ყველა უკრაინელის რუსული ტყვეობიდან დაბრუნება არის მშვიდობის გარანტია. ცნობისათვის: 8 იანვარს უკრაინასა და რუსეთს შორის ტყვეთა მორიგი წარმატებული გაცვლა მოხდა. სახლში 50 ჯარისკაცი დაბრუნდა.

* * *

რუსეთი უკვე მზადაა ყირიმიდან გასაქცევად - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მიხაილო პოდოლიაკმა განაცხადა. „როდესაც ვსაუბრობთ რუსეთზე, ეს არის ხროვა, რომელიც თავს ესხმის დიდი რაოდენობით. თუ მარტო ხარ, შეიძლება წააგო, მაგრამ ჩვენ მარტო არ ვართ. ხროვა ძალიან სწრაფად ხვდება, რომ მოვიდა მონადირე, რომელსაც შეუძლია ეფექტურად გაათხელოს ეს ხროვა. ამიტომ, ისინი ძალიან ეფექტურად გაიქცევიან ყირიმიდან“, - განაცხადა პოდოლიაკმა. მისი თქმით, თუ უკრაინა ამჟამად ბოლომდე არ მიაღწევს მიზანს, უკრაინელებს მომავალშიც მოუწევთ თავიანთი ქვეყნის არსებობისთვის თავის გაწირვა. „ჩვენმა შვილებმა, რომლებიც დღეს თავშესაფრებში სხედან, 3-5 წელიწადში სხვა ფასი არ უნდა გადაიხადონ, სახელმწიფოს არსებობის უფლებისთვის აღარ უნდა დაიღუპონ. ამიტომ, დღეს ჩვენ გავაფორმეთ ასეთი „კონტრაქტი“ - ან დღეს გავდივართ ბოლომდე და მერე ჩვენი შვილები ცხოვრობენ მაგარ ქვეყანაში, ან სხვა ადგილი უნდა ვეძებოთ, რადგან, სხვა შემთხვევაში, უკრაინა აღარ იქნება“, - აღნიშნა პოდოლიაკმა.

* * *

უკრაინაში ომის შედეგი კიევის გამარჯვება უნდა იყოს - ომი უკრაინამ უნდა მოიგოს, - ამის შესახებ ჩეხეთისა და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრებმა პეტრ ფიალამ და ედუარდ ჰეგერმა სატელევიზიო დისკუსიის დროს განაცხადეს. „მე ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს გარდა იმისა, რომ უკრაინა მოიგებს ამ სამართლიან თავდაცვას. მიმაჩნია, რომ დასავლეთის ქვეყნების მოვალეობაა, სრულად დაუჭირონ მხარი უკრაინას, რადგან ის აწარმოებს სასტიკ ომს მტრის წინააღმდეგ, რომელიც მას რიცხობრივად აღემატება“, - აღნიშნა ჩეხეთის პრემიერმა. მისი თქმით, რუსეთს კონფლიქტში უკრაინელების გამბედაობისა და ევროკავშირის ერთიანობის იმედი არ ჰქონდა. ამასთან, სლოვაკეთის მთავრობის მეთაურმა ედუარდ ჰეგერმა განაცხადა, რომ ომი უკრაინამ უნდა მოიგოს. მისი თქმით, არ შეიძლება იმის იმედად ყოფნა, რომ რუსეთი სხვა სახელმწიფოებსაც არ დაესხმება თავს.

* * *

უკრაინის აღმოსავლეთ სამხედრო სარდლობის სპიკერი სერჰი ჩერევატი აცხადებს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, კრამატორსკში 600-ზე მეტი უკრაინელი სამხედროს ლიკვიდაციის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. „ეს არის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ოპერაცია“, - განაცხადა ჩერევატიმ უკრაინულ მედიასთან საუბრისას. შეგახსენებთ, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მათ მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული თავდასხმის შედეგად 600-ზე მეტი უკრაინელი სამხედრო დაიღუპა. რუსული მხარის მტკიცებით, მათი იერიში შურისძიება იყო მაკიივკაზე უკრაინული ძალების მიერ განხორციელებული თავდასხმისთვის, რომელსაც უკრაინული მხარის თანახმად, 400 რუსი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა.

* * *

რუსმა სამხედროებმა ქალაქი ხერსონი ღამით აკრძალული ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალით დაბომბეს. ამის შესახებ ხერსონის ოლქის ხელმძღვანელმა იაროსლავ იანუშევიჩმა განაცხადა. „რუსი დამპყრობლები თავს დაესხნენ ქალაქის ტავრისკის უბანს. თავდასხმისთვის ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალა გამოიყენეს. საბედნიეროდ, რაშისტების ამ თავდასხმას მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი ან ინფრასტრუქტურის განადგურება არ მოჰყოლია“, - აღნიშნა იანუშევიჩმა. როგორც უკრაინული მედია წერს, ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალა აკრძალულია და მისი გამოყენება ქალაქებში ან მის მახლობლად დაუშვებელია. მედიის ცნობითვე, სამხედრო ობიექტებზე ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამოქალაქო ადგილებს დაშორებულია.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

## საჯარო შეტყობინება

საქმე № 01-10/170

# დადგენილება

### საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი

16 დეკემბერი, 2022 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. 445384959) თავმჯდომარემ როსტომ გუნთაიშვილმა, მოდავე მხარეთა შორის 2022 წლის 06 ივლისის „სესხის ხელშეკრულება №HEAD.0011088.001“-ში (მუხლი 8.7.) საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მის საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

**საარბიტრაჟო მოსარჩელე:** შპს „,სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“, (ს.ნ. 445516102) დირექტორის მამუკა მიქელაძის **წარმომადგენელი:** ადვოკატი, არჩილ ჯორთმენაძე (პ/ნ 61006015254), თანახმად მინდობილობისა გაცემული ერთი წლის ვადით, 2023 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

**საარბიტრაჟო მოპასუხე:** ფ/პ ბეჟან ბოლქვაძე (პ.ნ. 61009029850);

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების მოპასუხეზე დაკისრება და ასევე მასზე საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდის დაკისრება.

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:**

2022 წლის 13 ოქტომბერს, შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“, (ს.ნ. 445516102) დირექტორის მამუკა მიქელაძის წარმომადგენელმა, ადვოკატმა არჩილ ჯორთმენაძემ (პ/ნ 61006015254), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხეს: მსესხებლის ფ/პ ბეჟან ბოლქვაძის (პ.ნ. 6010090250) მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და მასზე საარბიტრაჟო მოსაკრებელის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი  ნ ა წ ი ლ ი:**

2019 წლის 24 დეკემბერს, **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“** არბიტრმა როსტომ გუნთაიშვილმა მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. არბიტრაჟის რამდენიმე მცდელობა, მოპასუხეს ჩაბარებოდა საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ. ყველა დაზღვეული საფოსტო გზავნილები იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, უკან დაბრუნდა არბიტრაჟში წარწერით: „აღნიშნულ მისამართზე არ იმყოფება“, „არ ჩაბარდა“.

2022 წლის 16 დეკემბერს საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მის საჯაროდ მოწვევის შესახებ“**, რაც დაკმაყოფილდა.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/170, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხე, ფ/პ-ს ბეჟან ბოლქვაძე (პ.ნ. 61009029850), **საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩასაბარებლად** საჯაროდ მოწვეული იქნეს არბიტრაჟში;

2. განემარტოს ფ/პ ბეჟან ბოლქვაძეს (პ.ნ. 61009029850), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში, გამოცხადდეს **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“** (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 577 78 19 77, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო უწყება, სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ჩაითვლება ჩაბარებულად საჯარო მოწვევის, საჯაროდ გამოცხადებიდან შვიდი დღის გასვლის შემდგომ;

3. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

4. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შპს „აჭარის არ**
**სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან**
**არსებული საერთაშორისო**
**არბიტრაჟის“ არბიტრი**
**როსტომ გუნთაიშვილი**

Ⓡ

ბაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

## მიიღებს თუ არა უკრაინა ბრიტანულ ტანკებს?



ბრიტანულ ტელეარხ Sky News-ის ინფორმაციით, გაერთიანებული სამეფო უკრაინისთვის, რუსეთის დამპყრობელ ძალებთან საბრძოლველად, ბრიტანული ტანკების Challenger 2 -ის მიწოდებას განიხილავს.

როგორც მედიასაშუალებას სანდო წყარომ აცნობა, ბრიტანული არმიის საბრძოლო ტანკის მიწოდების შესახებ ოფიციალურ ლონდონსა და კიევს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე კვირაა, მიმდინარეობს.

**ამირან გურიელიძე**

## ხსოვნა

# თენგიზ ბოლქვაძე



გარდაიცვალა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი აკრობატიკაში, ღირსების ორდენის კავალერი თენგიზ ბოლქვაძე.

დაიბადა 1938 წელს, ბათუმში.1981 წელს დაამთავრა ბელარუსის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. აჭარაში დაბრუნებული მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1964-1987 წლებში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე იყო, 1987-1991 წლებში - აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. მომდევნო ხუთი წელი აჭარის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო 1996-2004 წლებში - აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ. ასევე იყო ბათუმის და აჭარის საოლქო კომიტეტების ბიუროს წევრი, 1992-2004 წლებში - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გამგეობის წევრი.

თენგიზ ბოლქვაძე 1978-1989 წლებში მოსკოვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შტატგარეშე მეცნიერ-მუშაკი იყო. მას სპორტის შესახებ ათზე მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. დაჯილდოებული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

თენგიზ ბოლქვაძემ დიდი წვლილი შეიტანა აჭარაში სპორტის განვითარების საქმეში. მას დიდხანს გაიხსენებენ, როგორც სპორტის სფეროში ერთ-ერთ საუკეთესო მოღვაწეს და, უბრალოდ, კარგ ბათუმელს.

**აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;**

**აჭარის სპორტის დეპარტამენტი;**

**მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე;**

**აჭარის სპორტული ფედერაციები;**

**აჭარის ვეტერან სპორტსმენთა კავშირი**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/01/23, 21 05 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „წინ ძალიან ბევრი გამოწვევაა, რომელიც მხოლოდ ერთად დგომით გადაიჭრება“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*გასული წელი დასამახსოვრებელი იყო ქედის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ შემოქმედებითი ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლებისთვის. მიმდინარე წლის საქმიანობაზე „აჭარასთან“ კულტურის ცენტრის დირექტორი ჯამბულ სურმანიძე საუბრობს*

- როდესაც ამ სფეროს ხელმძღვანელად დამნიშნეს, პატივთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაც დამეკისრა. გამოწვევას გუნდური მუშაობით ვუპასუხე და შედეგიც თვალსაჩინოა. 2022 წელი, საქართველოს ფოლკლორისეროვნული ფესტივალი, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება, ჩვენთვის უდიდესი წარმატების მომტანი იყო - ერთდროულად შვიდი უმაღლესი ჯილდო მოვიპოვეთ. 6 დეკემბერს თბილისში, თუმანიშვილის თეატრში, ფესტივალზე ზეპირსიტყვიერების გამარჯვებულთა საღამო გაიმართა, რომელშიც კატეგორია „შემკრებნის“ სტატუსით მონაწილეობდა ლია მახარაძის ჯგუფი ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ ფოლკლორის დარგის სპეციალისტების, სასოფლო კლუბების, კულტურის სახლების ხელმძღვანელებისა და პოეტის, ავტორ-მთქმელ გურამ არძენაძის შემადგენლობით. ღონისძიების გახსნის პატივიც ამ ჯგუფს ერგო, რომელიც მედლითა და სიგელით დაჯილდოვდა. ფესტივალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავს ეძღვნებოდა. პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. 7 დეკემბერს თბილისში, გრიბოედოვის თეატრში, „საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022“-ის ქორეოგრაფიაში გამარჯვებულთა საღამო გაიმართა. ქედის კულტურის ცენტრიდან მონაწილეობდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბეთლემი“ და უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“. გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და სიგელები. 13 დეკემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში ფესტივალის დასკვნითი საღამო და ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელშიც ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესაც“ მონაწილეობდა როგორც ლაურეატი და გამარჯვებული. 14 დეკემბერს თბილისში, რუსთაველის თეატრში, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ბოლო - დასკვნითი კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მოყვარე“, მეჭიბონეები: მურად თავართქილაძე და თემურ არძენაძე. ხალხური მუსიკისა და ტრადიციული გალობის გამარჯვებულებს მედლები და სიგელები ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ და დირექტორის მოადგილე გიორგი გაბუნიამ გადასცეს. დედაქალაქში მიღწეული წარმატების გაგრძელება იყო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით 2022 წლის 10 დეკემბერს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართული კულტურის სფეროს მთავარი ჯილდოს „წლის წარმატებული ხელოვანი“ გადაცემის ცერემონია, სადაც წელს პირველად, სამინისტრომ სხვადასხვა ნომინაციაში ოცი წარმატებული ხელოვანი დააჯილდოვა. „წლის ქართული ფოლკლორის შემოქმედი“ გახდა ხელოვანი, ლოტბარი, ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ელესას“ სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი სირაბიძე, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი - ბრინჯაოს ქანდაკება „ოვაცია“ და ფულადი ჯილდო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენისა და საზოგადოებისთვის მათი შემოქმედების გაცნობის მიზნით გამართულ საოჯახო ანსამბლების კონკურსში, რომელიც 11 დეკემბერს ბათუმის მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა, დამსახურებულად გაიმარჯვა ცხმორისელი ბერიძეების მუსიკალურმა ოჯახმა. მათ დიპლომთან ერთად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაწესებული ფულადი პრემია გადაეცათ. ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ მთავარმა ბუღალტერმა მარიტა დიასამიძემ გაიმარჯვა „ოქროს GIFA-ახალგაზრდა ბუღალტერი 2022“ ნომინაცია-კონკურსში, რომელიც გახლდათ ფინანსისტთა და ბუღალტერთა რიგით მესამე დაჯილდოება. ეს რიგით მეათე ჯილდო იყო კულტურის ცენტრისათვის. გარდა ამისა, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მედიატურებში მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისათვის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ მადლობის სიგელით დააჯილდოვა, მადლობას ვუხდით დეპარტამენტს ღვაწლის დაფასებისათვის, ხოლო ანსამბლ „ელესას“, ანსამბლის ხელმძღვანელ ირაკლი სირაბიძესა და ლოტბარ მინდია ბერიძეს ვულოცავთ დამსახურებულ წარმატებას. ეს მონაგარი საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ მადლობის წერილით შეგვიფასა.



> ფოლკლორი ჩვენი ეროვნული განძია, რომლის გაუფასურების საშუალება არავის უნდა მივცეთ, სწორედ მისი მეშვეობით შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა

**- ასეთი მიღწევები რამ განაპირობა?**

- პირველი რიგში, იმან, რომ ყველა თავისი საქმის პროფესიონალია და კარგად იცის შრომის შინაგანაწესით დაკისრებული მოვალეობები. წარმატება გარკვეულწილად განაპირობა სხვადასხვა სემინარსა და ვორქშოპებში მონაწილეობამ, რომლებსაც ატარებენ მაღალი დონის მოწვეული სპეციალისტები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამებით შეძენილმა სასცენო სამოსმა და მუსიკალურმა ინსტრუმენტებმა, რამაც უფრო ეფექტური გახადა ღონისძიებების ხარისხი, სერტიფიცირებაში, რომელსაც საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები ანიჭებენ ანსამბლებს, საშემსრულებლო ტრადიციებმა და წინა თაობების გამოცდილებამ, გუნდური მუშაობის პრინციპებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ფინანსურმა და მორალურმა მხარდაჭერამ. ფოლკლორი ჩვენი ეროვნული განძია, რომლის გაუფასურების საშუალება არავის უნდა მივცეთ, სწორედ მისი მეშვეობით შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა.

**- სისტემაში 200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ისინი საყვედურს გამოთქვამდნენ დაბალი სახელფასო ანაზღაურების გამო. წელს რაიმე შეიცვლება?**

- 2023 წლისთვის ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ კულტურის მუშაკებს ხელფასი გაუზარდა 50 და მეტი პროცენტით, რაც კულტურის მუშაკებისათვის დამატებითი სტიმულია.

**- საერთაშორისო და რესპუბლიკურ ფესტივალებზე მოპოვებულ წარმატებებს ადგილზე მრავალფეროვან და შემოქმედებით მუშაობას უხამებთ. წელს რა სიახლეებს გვთავაზობთ?**

- წელს ქედის კულტურის ცენტრისა და საბიბლიოთეკო განყოფილების (ყოფილი სარაიონო ბიბლიოთეკის) დაარსების 100 წლის იუბილეა. მის აღსანიშნავად მუშაობა უკვე დაწყებულია. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღვაწლმოსილი მუშაკების ამაგის დაფასებას. 1975 წლიდან დაწესებული „საპატიო ქედელის“ ჯილდოს, შარშან დაემატა კიდევ ერთი - „დამსახურებული მოღვაწე“, რომლითაც პირველად დაჯილდოვდა ანსამბლ „ელესას“ უხუცესი წევრი ნოდარ კახიძე. ვთანამშრომლობთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რომელიც ყოველი წლის ბოლოს, რესპუბლიკის მასშტაბით, აჯილდოებს ღვაწლმოსილ მუშაკებს.

**- ქედა ტურიზმის სფეროში წამყვან მუნიციპალიტეტად იქცა...**

- ქედის მუნიციპალიტეტი თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, ულამაზესი ფლორითა და ფაუნით, მართლაც მიმზიდველ ტურისტულ რეგიონად იქცა მთიან აჭარაში. ამას დაემატა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, საოჯახო სასტუმროები, ღვინის სახლები და თვითმყოფადი კულტურა, რომლის გაცნობა-პოპულარიზაციაში ლომის წილი მიუძღვით ქედის კულტურის ცენტრის ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს, სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებს და მათ ბაზაზე არსებულ ანსამბლებს. გასული წელი ამ მხრივაც გამორჩეული იყო. მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემოსულ სტუმრებსა და ტურისტებს მრავალფეროვანი საკონცერტო ნომრებით ხვდებოდა გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლი „იასამანი“ (ხელმძღვანელი - მარინე ჯიჯავაძე), მერისის ხეობის სავიზიტო ბარათია საოჯახო სასტუმრო „მოყვარე“.

**- ეთნომუსიკოლოგმა ნინო რაზმაძემ თავის დროზე დიდი საქმე გააკეთა და დედაქალაქის საზოგადოებას მერისის ხეობის ფოლკლორი გააცნო. არანაკლები ტრადიციები აქვთ ცხმორისში, დანდალოში, კოლოტაურში, მახუნცეთში. მათ წარმოსაჩენად რა კეთდება?**

- ქედის კულტურის ცენტრისათვის ფოლკლორული მიმართულება პრიორიტეტად იქცა დაარსების დღიდანვე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კატეგორია „შემკრებნის“ მიერ წარმოდგენილი მასალები შეივსო მახუნცეთის, დოლოგნის, ზუნდაგას, უჩხითის, პირველი მაისის ზეპირსიტყვიერი მასალებით. რაც შეეხება ზედა ზონას - ცხმორისის, დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულებს, აქ უფრო ქორეოგრაფიული და სასიმღერო ნიმუშები სჭარბობს. ცხმორისის კულტურის სახლთან არსებულმა უხუცესთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფესვებმა“ მრავალჯერ მოიპოვა ლაურეატის წოდება. აქაური მეჭიბონეები: მურად თავართქილაძე და თემურ არძენაძე, ფესტივალების უცვლელი ლაურეატები არიან წლების განმავლობაში. მერისის ხეობის პარალელურად, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარეობს მუშაობა ხელოვნების ყველა დარგის სათანადოდ წარმოჩენისათვის.

**- ქედას ყველა დროში მუსიკალური ინსტრუმენტების (ჭიბონი, ფანდური, დოლი), სხვა საოჯახო და სამეურნეო ინსტრუმენტებისა და იარაღების ოსტატები ჰყავდა. ახლა რა ვითარებაა?**

- ქედა, თამამად შეიძლება ითქვას, ჭიბონის ოსტატ-შემსრულებელთა სამჭედლოა. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ: ხუსეინ ანანიძე, იზეთ ირემაძე, ილია, ვასო ირემაძეები. ისინი დიდი ხანია აღარ არიან. მაგრამ მათ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ მეხსუდ (გივი) თურმანიძე, ბიჭიკო დიასამიძე, თემურ არძენაძე, მურად თავართქილაძე. ცალკე გავამახვილებთ ყურადღებას მურად თავართქილაძის მიღწევებზე. შარშან, ნოემბერში ავსტრიაში, ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში, ფოლკლორული მუსიკის კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელშიც 15 ქვეყნის 40-მდე შემსრულებელი და მკვლევარი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქედის კულტურის ცენტრის თანამშრომლები ლოლიტა სურმანიძე, მურად თავართქილაძე და ისმაილ თავართქილაძე. ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე ჭიბონის შესახებ მოხსენებით წარსდგა, ხოლო ჭიბონისა და დოლის ოსტატ-შემსრულებლებმა მურად და ისმაილ თავართქილაძეებმა სიმპოზიუმის დასკვნით კონცერტზე აჭარული ფოლკლორული რეპერტუარით მოხიბლეს აუდიტორია. დეკემბერში, პროექტის „ევროპელ მეგუდასტვირეთა ქსელი“ ფარგლებში, ლატვიას სტუმრობდა ქართული დელეგაცია, რომლის წევრებიც გახლდნენ ქედელი ჭიბონის ოსტატი და ვირტუოზი შემსრულებელი მურად თავართქილაძე, ნინო რაზმაძე და ბაია ჟუჟუნაძე. ლატვიის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა კონცერტები და ვორქშოპები, რამაც პროექტის მონაწილე მეგუდასტვირეებს საკუთარი ქვეყნის ტრადიციისა და გამოცდილების გაზიარების საშუალება მისცა. პროექტის მეორე ეტაპის მასპინძელი ქვეყანა საქართველოა. ვიზიტის ფარგლებში აქტივობები ქედის მუნიციპალიტეტშიც გაიმართება. ამ ინსტრუმენტის გადარჩენა-შენარჩუნების მიზნით, ფოლკლორის დარგის სპეციალისტმა და რეჟისორმა ლია მახარაძემ მეჭიბონეებს მურად თავართქილაძესა და თემურ არძენაძეს მოუმზადა პროექტები ჭიბონის შემსწავლელი სკოლა-სახელოსნოს გახსნისთვის, რომელიც დაფუძნდა ცხმორისის კულტურის სახლსა და სოფელ დანდალოს სასოფლო კლუბში. სამწუხაროდ, პანდემიამ იმსხვერპლა სალამურის დამამზადებელი ისმეთ ღოღობერიძე, ფანდურის ოსტატი მუხამედ ჟოჟაძე. თითქმის აღარ დარჩნენ ამ დარგის ხელოსნები. დავიწყებას ეძლევა მედოლეძმების - ღოღობერიძეების ხელობაც. რაც შეეხება საოჯახო და სამეურნეო ინსტრუმენტებისა და იარაღის დამამზადებლებს, ჯერ კიდევ საკმაოდ არიან მუნიციპალიტეტის სოფლებში. ჩვენ მათთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ.

**- თაობათა ცვლის პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ 1996 წელს ჩამოყალიბდა ლოტბარ, აწ განსვენებულ ტარიელ მამალაძის ხელმძღვანელობით. 2010 წელს ანსამბლის ნიჭიერმა წევრმა ირაკლი სირაბიძემ ანსამბლის ახალგაზრდული ფრთა შექმნა. ისინი ძველ რეპერტუართან ერთად, უშუალოდ აჭარულ, განსაკუთრებით ადგილობრივ ფოლკლორულ სიმღერებს ეძებენ და ასრულებენ. საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად მიგვაჩნია ბერიძეების ოჯახი სოფელ ცხმორისიდან, მამია ბერიძის შვილიშვილები. ისინი ქორეოგრაფიაში ცხმორისელ მეხორუმეთა ჯგუფის საშემსრულებლო ტრადიციებს აგრძელებენ, რომელიც „გადახვეული ხორუმის“ სახელითაა ცნობილი. ფოლკლორული სიმღერების საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია თურმანიძეების ოჯახი მერისიდან. დიდი ბაბუის - რევაზ თურმანიძის ტრადიცია მისმა შვილებმა გურამმა და ამირანმა განაგრძეს. მესამე თაობას ჯემალ თურმანიძე, მეოთხეს - რევაზ, ბესიკ და ხატია თურმანიძეები შეადგენენ. ასეთები მრავლად არიან, რომელთა ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანს.

**- „აჭარული საუნჯის“ ერთი ტომი თქვენი ამ სისტემის ხელმძღვანელად მუშაობის დროს გამოიცა...**

- ფოლკლორული მიმართულებით მუშაობა ჩვენი პრიორიტეტია, იგი კიდევ უფრო დაიხვეწა და გაფართოვდა მას შემდეგ, რაც დარგს სათავეში ჩაუდგა ფოლკლორისტი ლია მახარაძე, მას ლეილა ბეჟანიძეც შეუერთდა. მათთან ერთად 23 სასოფლო კლუბისა და 4 კულტურის სახლის ხელმძღვანელებიც დიდი რუდუნებით კრებდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. წიგნის პირველი ნაწილი გამოცემულია. მიმდინარეობს მეორე ნაწილზე მუშაობა.

**- თავად ხელოვნების რა დარგით ხართ გატაცებული?**

- რა თქმა უნდა - ფოლკლორით.

**- თვითმმართველობის ხელმძღვანელობის თანადგომაზე რას იტყვით?**

- ჯგუფური მუშაობის გარეშე წარმატების მოპოვება ძალიან რთულია. ქედის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მუდამ გვერდით გვიდგას. არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენს ძალებს აღემატება. მათი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა ჩვენი წარმატების საწინდარია.

**- უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის დაბადების 90, აღსაყდრებიდან 45 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით ტარდება. ამ თარიღს როგორ გამოეხმაურეთ?**

- უწმინდესისა და უნეტარესის ინტრონიზაციის 45 და დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა. ხიჭაურში გამართულ ღონისძიებაში ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „იასამანი“ მონაწილეობდნენ. სხვა აქტივობებიც გვქონდა და გვექნება.

**- რას უსურვებთ თანარაიონელებსა და „აჭარის“ მკითხველებს 2023 წელს?**

- პირველ რიგში, მშვიდობას, აღმშენებლობას, წარმატებასა და ბევრ სიახლეს ვუსურვებ, ქვეყანას კი გამთლიანებას და ერთად დგომას. წინ ძალიან ბევრი გამოწვევაა, რომელიც მხოლოდ ერთად დგომით გადაიჭრება.